ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

№ 972 სამშაბათი, 20 აგვისტო 1913 წ. № 972

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

წლიურ ხელის მომწერთა

საყურადღებოდ

ამით ვაცხადებთ, რომ თანახმად ხელის მოწერის პირობებისა, წლიური ხელის მოწერის ფასის გადასახდელი მეოთხე და უკანასკნელი **ვადა არის 1 სექტემბერი,** რომლისაც გადახდილი უნდა იყოს 1 მ. და 50 კ.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა.

ელისაბედ კაკაჩაშვილისა და **ი. გრიშაშვილი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობართ, რომ 17 ამ თვეს გარდაიცვალა პირველისა—ძვირფასი ქალი და მეორესი—და

ელენე |ასტჰიკა| ჩიტაშვილისა,

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 22 აგვისტოს. მიცვალებულის ცხედარს დილის 8½ საათზე გამოასვენებენ საკუთარ ბინიდან (ხარფუხი. სუფ-სარქისის ქ. ალგეთის შესახვევი), ბერძნების წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში და აქედან წირვის შემდეგ—კრწანისის სასაფლაოზე.

(საზაფხულო **ახალი კლუბი** შენობა)

სამშაბათს, 20 აგვისტოს,

ბენეფისი ვ. ი. ზელიონისა.

მეექვსე სიმფონიური კონცერტი

სოლისტის-ვიოლონჩელისტის **კოპელნიცკისა** და არფისტის **პოლომარენკოს** მონაწილეობით. პროგრამა: მე-6-ე სიმფონია ჩაიკოვსკისა, შეხერაზადა რიმსკი-კორსაკოვისა, და მე-12-ე წელიწადი ჩაიკოვსკისა. ფასები: 1 მ. 50 კ.—30 კ. სტუმართა კლუბში შესვლის ფასი ჩვეულებრივია. 1431

ახალი წიგნის მაღაზია

კ. ი. ოცხელისა

ქუთაისში, ალექსანდრეს ქუჩაზე, ზ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა

უდიდესი წიგნის მაღაზია

კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.

ახალ მაღაზიას შეძენილი აქვს მეტად მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი.

ახალ მაღაზიას სურს შეუმსუბუქოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებს და წიგნთსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგნები, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით, ამის ყველაფ დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.

ახალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდე მთავრიშვილის ყოფილი ამხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ი. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოვება ყოველნაირი სასწავლო ნივთი ძლიერ იაფად. 1419

ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.

შპალიერის (ОБОИ) ქარხანა

ძმ. ტარნოპოლევისა.

განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21, ტელ. № 355.

მიღებული გვაქვს ძვირფასი ნახატები.

იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის 11¼ არშ.) შპალერისა, საფაბრიკოა 8 კ. ვიდრე 6 მ. ფოფდი, ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ. 1137

ოქროს მედალი რომის გამოფენაზე 1910 წ.

ოქროს მედალი ... გამოფენაზე 1910 წ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მაღალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. ექ.-ქალ. **ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტაცი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1 **ფონდოევი გ. ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რეაქციისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“-და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძი-ძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

ქ. ტფილისში ვერის საქალაქო პარკთან

ყოველ დღე საღამოს 7—2 ს. ღამისა უკრავს სიმებიანი საკონცერტო ორკესტრი რომის კონსერვატორიის თავისუფალ ხელოვანის **ე. ფაუსტინის** ლოტბარობით. სკრიპკაზე დამკვრელის, სოლისტის **კონევსკის** და ვიოლონჩელზე დამკვრელის **სტეფანჩაკის** მონაწილეობით. 1409

გაიხსნა პირველ-ხარისხოვანი

რესტორანი

მიმოსვლა შეიძლება მიხეილის პრ., კრილოვისა და პასტერის ქ., ოლღას ქუჩის მხრით—გრევნოვოზნი ქ. ვერის ხიდიდან—სადგური მტკვრის მარჯვენა მხარეზე.

გვაქვს საზღვარ-გარეთის და აქაური სასმელები და ყოველგვარი ცივი სასმელები, სამზარეულო აზიური და ევროპიული. **ფასები ზომიერია.** სამაგალითო გადასახედავი, სადი და გრილი ჰერი.

ტელეფ. № 14—66.

რესტორანის ხელმძღვანელი **ჯინჭარაძე.**

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

დღეს, 20 აგვისტოს, 1913 წ. გაიმართება

დიდი წარმოდგენა

შეცვლილი პროგრამით. ანტრაქციონების გასტროლები. გამოჩენილი მოჯირითე ქალი **თამარა** დღეს გააკვირვებს მაყურებლებს. ჰაერის მეფენი, **4 ეშმაკი,** დღეს შეასრულებენ იმ ნომერს, რისთვისაც მათ დაერქვათ „ოთხი ეშმაკი“. გამოსვლა მასხარის **ბ. რობერტსისა** და იმისი ჭკვიანი ვირის და მათემატიკოს ძაღლისა. გამოსვლა სპორტ-მეზღვაურ-ეკვილიბრისტებისა **ქ-ნ ელლასი და კარპის** (სასიკვდილო კიბე). დღეს მონაწილეობას მიიღებენ ოხუნჯები **ძმ. ცინჩენცოები** და აგრეთვე მთელი პირველ-ხარისხოვანი დასი.

დასაწყისი საღამოს 8 ნახევ. საათზე.

დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.** 564. გამგე: **ლ. მ. ხუნდაძე.**

„ახალი კლუბის“ **მამასახლისთა საბჭო, ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ სამშაბათს, 20-მა აგვისტოს დანიშნულია**

წევრთა საზოგადო კრება

განსახილველია მიმდინარე საქმეები კლუბისა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. 1431

განათლების საზოგადოების ქალთა

სასწავლებელში

როგორც მოსამზადებელ განყოფილებებში, ისე პროგიმნაზიულ კლასებში ვაკანსიებით გამოცდა და მიღება დაიწყება 26 აგვისტოდან. სწავლა—2 სექტემბრიდან.

აგრეთვე 1-ლ სექტემბრიდან განათლების საზოგადოებასთან იხსნება **სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებელს,** რომელშიაც მიიღებენ ქალაქის ორსამ კლასს დამთავრებულ ყმაწვილებს. წლიური ფასი, 30 მან. დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება თვით სასწავლებელში (საკუთარი სახლი, სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 6) დილის 9 საათიდან პირველ საათამდე. 557

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში

ახალი სალიტერატურო—სამეცნიერო—კრებული

ვეფხვინი

ფასი ერთი მანეთი

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქიძისა.
2. სუმერული დ ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოიდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით პ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გრიგოლის ზარი, მისივე. 1371

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

შემდეგი წიგნები:

აკაკის საიუბილეო კრებული	25 კ.
ასული ისრაელისა, ა. ფურც.	30 „
ბრძოლა ანუ გ. საააკაძე და მისი დრო	1 მ.
დუტუ მეგრელი ტ. 1.	70 „
„ „ ტ. 2-ე.	70 „
ეკატერინე ბატონიშვილი, ხუსკივ ძ.	5 „
ვისი ბრალია? დ. ერისთ.	20 „
ვარინკას ამბავი,	15 „
ბურჯი ეროვნებისა, ი. გოგებაშვ.	20 „
თავადი იერონიმე, მგალ.	10 „
თხზულებანი ხუსკივაძისა,	30 „
თავდადებულნი ქართველნი	7 „
ია ეკალაძე. მოთხრობები	1 მ.
ივანნამ რა ჰქმნა? ი. გოგებ.	5 „
კახეთის ამბოხება, ა ფრონელი	60 „
ლევან ბატონიშვილი, ხუსკ.	10 „
მეჯღანუაშვილი, არდაზ.	50 „
მთიულეთი, ა. ფრონელი,	40 „
დილარიანი, ლარიძისა,	2 მ.
მაცი ხვიტია, ა. ფურც.	50 „
მოლიპულ გზაზე,	1 მ. 50 „
მთიული სოსე	10 „
მეფე ერეკლე და ინგილო ქალი,	5 „
Методическое руководство къ препод. русск. языка.	40 „
რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები ი. გოგებ.	1 მ.
რანი ვიყავით გუშინ, მისივე	20 „
საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა, მისივე	10 „
ქიტესა, ა. ფურც.	15 „
ქართ. მეფე გლეხის ქოხში, ი. გოგ.	5 „
ჩემი თავგადასავალი, აკაკი,	1 მ.
ჩვენებური საქმის ბოლო, ა. ფურც.	20 „
ცხოვრება და სიყვარული,	40 „
წვრილი მოთხრობები სვ. ყიფ.	50 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 121

საფერშლო სკოლა

ტფილისის მიხეილის სახელობის საავადმყოფოსთან არსებული სკოლის უფროსი აცხადებს, რომ სკოლაში შემოსვლისათვის თხოვნების შემოტანის ვადა თავდება 20 აგვისტოს. ხელმეორედ გამოცდა დანიშნულია 22, 23 და 24 აგვისტოსათვის, მისაღები და გაჯიბრებითი

გამოცდა დანიშნულია 26, 27, 28 და 31 აგვისტოსათვის.

მიღება შეიძლება მხოლოდ პირველ კლასში, დანარჩენ კლასებში-კი, ადგილის უქონლობის გამო, მიღება არ მოხდება. გამოცდა დაიწყება დილის 8 საათზე. 1427

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 546

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს, ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი ა. შ. მიქელაძე

15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

საზაფხულო

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და ციციშვილის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ელექტრონის და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოროღანოვის ქ. № 20. წ. 1023

ვაგზლის კერძო

სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ხ. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“-ით 1035

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა დ კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ქართული პრესა

გაზეთ „თემი“ დაბეჭდილია წერილი იმ დიდი უბედურების შესახებ, რომელიც მოელის ჩვენს ხალხს გვალვისა და შიმშილის გამო.

„არ შევცდებით თუ გადაჭრით ვიტყვით, რომ საქართველოს საზოგადოდ და განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოს დიდი უბედურობა მოელის ახლო მომავალში.

კორესპონდენტების ცნობით დიდი ხნის გვალვისაგან დასავლეთ საქართველოში სიმინდის ყანები სულ ერთიანად გადახმა და მცირედი მოსავლის იმედიც აღარავის აქვს. ხეხილი განადგურებულია, ვაზები ჩაყვითლებულ-ჩამოჭკნარი. აწი წვიმა კიდეც რომ მოვიდეს ყანებს მაინც ველარ გამოაბრუნებსო, ერთხმად ჰგოდებენ ისინი.

ცხადია შიმშილის საზარელი აჩრდილი უკვე უახლოვდება ჩვენს დაჩიავებულ სოფელს და ისედაც გაწამებულ გლეხობას საშინელ უბედურობას უქადის.

შემოდგომიდან ის კიდეც შედგამს ფეხს გლეხის ქოხში და გულშემზარავ ამბებს დაატრიალებს.

უკეთეს მდგომარეობაში არც აღმოსავლეთი საქართველოა. თუმცა ამ მხრიდან ცნობები ისე არ მოგვდის, როგორც დასავლეთ საქართველოდან, მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ საზოგადოდ აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში წერა კითხვის მცოდნენი ძალიან ცოტანი არიან და ამიტომ ამ სოფლების ავ-კარგი ჩვენამდის ველარ აღწევს. მაგრამ თუ მოვიგონებთ, რომ ორი თვის განმავლობაში არც აქეთ მოსულა წვიმა, ცხადი იქნება თუ რა მდგომარეობაშია ამ ჟამად აღმოსავლეთ საქართველოს მინდორ-ყანები.

ამგვარად ჩვენს ხალხს დიდი გაჭირვება მოელის. შიმშილი კარს ადგება და მისი დამხმარე და მანუგეშებელი კი აღარსად სჩანს. მას შემოდგომიდან საჭმელი არ ექნება, საქონელს საკვები და ადვილი წარმოსადგენია ამის შემდეგ, თუ რა უბედურობა უნდა დატრიალდეს ახლო მომავალში ჩვენს სოფლებში.

დასასრულ გაზეთი აღნიშნავს დამხმარე კომიტეტების დაარსების საჭიროებას და მოუწოდებს საზოგადოებას ახლავე შეუდგეს საქმეს, ფულის შეგროვებას და ... ძის გამოკვლევას, თუ რომელი ადგილი უფრო დაზარალებულია.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **მხცოვანი მგოსანი** აკაკი საჩხერედან ტფილისს ჩამოვიდა და სასტუმრო „ფრანცია“-ში ჩამოხტა.

◆ **ანჩისხატობა.** 16 აგვისტოს ანჩისხატის ძველმა ტაძარმა თავისი დღესასწაული იუქმა. წირვის დროს, განიცადეზე, ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა ნ. თალაქვაძემ დროის შესაფერი და შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა. წირვის შემდეგ კნეინამ ალექსანდრა მაკარის ასულმა მელიქიშვილმა დეკანოზს ნ. თალაქვაძეს 100 მან. გადასცა ტაძრის გასამშვენიერებლად. დღეობას ხალხი ბლომად დაესწრო. აღსანიშნავია, რომ წესრიგის დასაცავად მრავალი პოლიციელი იყო დაყენებული როგორც შესასვლელ კარებში, ისე ტაძრის ეზოში. პოლიციელი ადგა აგრეთვე თავს მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს. ეს გარემოება მლოცველებს სასოებას უკარგავდა.

◆ **ნ. ს. ჩხეიძე,** სახელმწიფო სათათბიროს წევრი, ტფილისიდან ისევ შიკრაპნის მაზრას გაემგზავრა.

◆ **ტრამვაის გამოსყიდვა.** ქალაქის გამგეობამ თანახმად ქალაქის საბჭოს დადგენილებისა შუამდგომლობა აღძრა უმაღლეს მთავრობის წინაშე: ნება დართოს გამოისყიდოს 1914 წელს ტფილისის ტრამვაი.

◆ **საყინულეთა მოწყობის საქმის** მოღვაწეთა კომიტეტი მეფის მოადგილის სენატორ ე. ა. ვატაცის მეთაურობით და გუბერნატორის მონაწილეობით 21 აგვისტოს ახალ სასალახოს დაათვალიერებს. ამ დღეს აამუშავებენ სასალახოს ყველა განყოფილების მანქანებს.

◆ **ვერის პარკი.** ამ მოკლე ხანში საუკეთესო სისტემით მოჰკირწყლავენ მიხეილის ქუჩას. ამ ქუჩიდან აღებულ ქვითა და სხვა მასალით ქალაქის გამგეობა ვერის ხიდიდან ახალ პარკში მიმავალ გზის მოკირწყვლას აპირობს.

◆ **კურსები.** სექტემბრის შუა რიცხვებში ტფ. საბალოსნო სასწავლებელთან კურსებს მოაწყობენ, სადაც მსურველნი შეისწავლიან ხილის გახმობას ამერიკულის წესით. ლექციებს წაიკითხავს და ხილის გახმობის საშუალებებს აჩვენებს სპეციალისტი ფ. კრიშტოფოვიჩი, რომელსაც მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტი კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თხოვნის თანახმად ტფილისს ჰგზავნის. მსურველთ უნდა მიმართონ ხილეულის მეორე მორიგ გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტში (ტფილისი, ბარიათინის ქუჩა, № 5). კურსებზე ჩაწერის სურვილი უკვე ბევრმა განაცხადა. მათ შორის ქალებიც არიან.

ეროვნული

◆ **ლიტანია.** 17 აგვისტოს ნაძალადევის ღვთის მშობლის ეკლესიიდან შემოსილი სამღვდელოება მამაკოდის საქალებო მონასტერში გაემგზავრა, საიდანაც ტფილისს 18 აგვისტოს დაბრუნდნენ.

◆ **აფიცერთა საეკონომიო საზოგადოებამ** მესამე განყოფილება გახსნა ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე.

◆ ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო აგენტად ნაცვლად ნ. მარქაროვისა ქალაქის გამგეობამ კ. ფირცხალაიშვილი დანიშნა.

◆ წესიერ დასვენების სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის გუშინ ქალაქის მესამე უბნის სავაჭრო-სამეურნეო მეთვალყურემ ე. გ. ლომიძემ ათ ვაჭარს შეუდგინა ოქმი.

◆ ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა ტეხნიკოსს ჩისლიევს, დაუყოვნებლივ შეასწოროს **შიოევისეულ სახლის** გადაკეთების პროექტი თანახმად ინჟენერ-ტეხნიკოსთა საგანგებო კომისიის მოთხოვნისა.

◆ **გენერალი ნ. პ. შატილოვი,** მეფის მოადგილის თანამდებობის აღმასრულებელი, კავკავიდან ტფილისს 21 აგვისტოს დაბრუნდება.

◆ **ხორცის ნიხრი.** დღეს კრება ექნება ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიას ხორცის ახლანდელ ნიხრის გადასათვალიერებლად. განზრახულია ნიხრი შეამცირონ, რადგანაც საკლავე საქონლის ფასმა ბოლო ხანს შესამჩნევად დაიწია.

◆ **სავაჭრო ბანკი** მოკლე ხანში გადასვლას აპირობდა ხარაზოვის სახლში, ერევნის მოედანზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შენობა რამდენსამე ადგილას გარღვეულია. შესაძლებელია, საჭირო გახდეს მთელის შენობის დანგრევა.

◆ **საბირჟო ცნობები.** 19 აგვისტოს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებდნენ—84 მ. 90 კ., აძლევდნენ—84 მან. 40 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—82 მ. 75 კ. აძლევდნენ—82 მან. 50 კ. და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—79 მან. 50 კ., აძლევდნენ—78 მან. 30 კაპ. სახელმწიფო მომგებიან ბილეთების საკურსო ნორმა შემდეგი იყო: პირველ სესხის ბილეთებისა—489 მან. 50 კ., მეორისა—360 მან., და მესამისა—316 მან.

◆ **ქალაქის სახალახოს** საყინულე განყოფილების მანქანების გამოცდა კიდევ გრძელდება. საგანგებო კომისიამ ბ-ნ რულევის მეთაურობით გუშინდლამდე გაშინჯული მანქანები ყველა მოიწონა.

◆ **ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის** ახალ შენობის პროექტი უკვე შედგენილია. ხარჯთ-აღრიცხვა ნავარაუდევია 690,000 მან.

◆ **დეკანოზი პაშკევიჩი,** სამრევლო სკოლების საოლქო მეთვალყურე, ტფილისს დაბრუნდა.

◆ ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორის პროკურორი ბ-ნი პოპოვი ქობულეთს გაემგზავრა.

◆ **დედათა საეპარქიო სასწავლებლის** შენობის გადაკეთების საქმე ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ. მესამე სართულის კედელი უკვე ამოიყვანეს. მესამე სართული განზრახულია საძილო ოთახებად.

◆ **ა. წუწუნავა,** რომელიც ქუთაისის დრამატიულ დასში რეჟისორად იყო მიწვეული, ისევ ტფილისში რჩება, რადგანაც იქ მუდმივ დასი მომავალ სეზონში არ იქნება. ბ-ნ წუწუნავას ისევ სახალხო სახლში ქართულ წარმოდგენების მმართველი წრე იწვევს რეჟისორად.

◆ **შიოევისეულ სახლის** გამო მეფის მოადგილის თანამდებობის აღმასრულებლის მიერ დანიშნულ საგანგებო კომისიას შენობის დათვალიერების შემდეგ ორი კრება ჰქონდა და საჭიროდ აღიარა შენობის კედლების დანგრევა, ხოლო ძველი სადიოკვლის დატოვება შესაძლებლად სცნო.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქართულ სამეურნეო საზოგადოებაში.** ოთხშაბათს, 21 აგვისტოს საღამოს 8 საათზე, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია მორიგი კრება საზოგადოების საბჭოსი. კრებაზე დაესწრება ბ. ფ. კრიშტოფოვიჩი, რომელიც მიწათმოქმედების დეპარტამენტის მიერ არის გამოგზავნილი ხილის გახმობის შესახებ კურსების მოსაწყობად და მეხილეობის გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად.

ბ. კრიშტოფოვიჩს სურს ქართულ სამეურნეო საზოგადოების საბჭოსთან ერთად შეიმუშაოს გეგმა: სად და როდის მოეწყოს ეს კურსები. 25 აგვისტოს ბ. კრიშტოფოვიჩი მიწვეულია სხვებთან ერთად ლილოს მერძეობის ამხანაგობის სანახავად, ხოლო 29 აგვისტოს ვიდრე 31-მდე ბ. კრიშტოფოვიჩი დაესწრება სოფლის მეურნეთა თათბირს სოფელს საგარეჯოში, რომელსაც ქართული სამეურნეო საზოგადოება ჰმართავს.

◆ **სამეცნიერო კრების** მოწვევის ნებართვა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ უკვე მიიღო მიწათ-მოქმედებისა და მიწათმომწყობ მთავარ სამართველოსთან. კრების მომწვევ ბიუროს 4 სექტემბერს მეორე კრება ექნება.

◆ **სტამბისა და ლიტოგრაფიის მომუშავეებისა და წიგნის მკაზმავთა** საზოგადო კრება 18 აგვისტოს მოხდა სახალხო სახლში ალშევსკის თავმჯდომარეობით. პირველად კრებამ მუხლ-მუხლად განიხილა ბეჭდვით საქმის საპროფესიო კავშირის წესდების პროექტი და შემდეგ ამოირჩია დამფუძნებელი კომისია, რომელსაც დაავალა ახალ წესდების შედგენა, გუბერნატორთან დასამტკიცებლად წარდგენა და საზოგადო კრების მოწვევა.

გორი.

◆ უკვე გარდაიცვალა ადგილობრივ სასტატ. სემინარიის თათართა განყოფილების ინსპექტორი **მაგამაევი,** რომელმაც ამას წინად თავის მოკვლის განზრახვით რევოლვერით თავი დაიჭრა.

◆ შაბათს, 17 აგვისტოს, დილით სასტუმრო „კავკაზ“-ში **გარდაიცვალა ბესარიონ გოგოხია,** გორის მაზრის უფროსად ნამყოფი.

◆ ადგილობრივ საურთიერთო ნდობის ბანკის წარსულ საზოგადო წლიურ კრებაზე ამავ ბანკის საბჭოს წევრებად, ნაცვლად ვადაგასულებისა, ამორჩეულ იქმნენ, ხარჯთამკრები ინსპექტორი ნ. მდივანი და ექიმი მიქაბერიძე. საბჭოს თავმჯდომარედ მდივანივე იქმნა ამორჩეული.

◆ როგორც სოფელ ზემო-ხანდაკიდან გვატყობინებენ, იქაურ გლეხებს გარდაუწყვეტიათ გახსნან ხსენებულ სოფელში წვრილი კრედიტის ბანკი. მოკლე ვადიან სესხად თხოულობენ 5000 მანეთს, ხოლო გრძელ ვადიანად 2000 მან. რწმუნებულად ამორჩეულია გიორგი მოსეს ძე გოგიაშვილი.

სოფლად.

◆ **დაბა ცხინვალი.** 15 აგვისტოს ვასო მელქოსძე პეტროევმა თავის ბინაზე თავის მოკვლის განზრახვით ათ ალაგას ხანჯალი დაირტყა და მძიმედ დაიჭრა. როგორც მის მიერ დაწერილ წერილიდან გამოირკვა, თავის მოკვლის მიზეზად ასახელებს თვის ავადმყოფობასა და სიღარიბეს. ექიმის სიტყვით ჭრილობანი ძნელი გადასატანია.

ოქროს კარიანი

(მგზავრის შენიშვნები).

ბევრი რამ გამიგონია ქართლის ამ მხარისა. დიდი ხანია მინდოდა ნახვა საუცხოვო ადგილებისა, რომელთა გარშემო ძველად ხალხს მრავალი ლეგენდა ეგულებოდა და ეხლაც ტრადიციის მიხედვით ყოველ წლივ იმართება საქართველოს საუკეთესო ხალხური დღესასწაული. მაგრამ აქამდის შემთხვევა არა მქონდა; წელს კი შემთხვევამ ხელი შემიწყო. როგორც წინედაც, ისე წელსაც თავ. ნიკოლოზ ერისთავის მეთაურობით 15 აგვისტოს სამების მთაზედ, ოქროს კარიანად წოდებულის ეკლესიის დღესასწაულში წმ. მარიამობას გაიმართა ჩვეულებრივი ხალხური დღეობა. დღეობის დროს უნდა მომხდარიყო ანანურელების, ახალ-გორელების, დუშელების და სხვათა გაჯიბრება: ჯირითში, ცეკვა-თამაშში, და სხვა ვარჯიშობა. სამი დღე და ღამე გავატარე ამ საუცხოვო მხარეს.

ძნელია გადმოცემა მშვენიერებისა, რომელსაც იქაური ბუნება წარმოადგენს, აგრეთვე თვით დღესასწაულის დიდება, მაგრამ შევეცდები მკითხველებს გავუზიარო შთაბეჭდილება.

კასპიდან გზა მიდის სოფ. ოძისზე და ლამის ყანაზე. ახალგორში თავ. ნ. ერისთავთან ღამე გავათიეთ და აქ შეკრებილ აურაცხელ სტუმრებთან ერთად სამების მთისაკენ ოთხშაბათს დილით გავემგზავრეთ.

ახალგორიდან ოქროს კარიანი 15 ვერსის მანძილზე მდებარეობს; გზა თუმცა კარგია, მაგრამ დიდი აღმართებია, ამიტომ ხალხი ცხენებით და „ბოლოთრიებით“ მიემგზავრება. ეკლესია ოქროს კარიანი უმაღლეს მთის წვერზე მდებარეობს, ხალხი კი ამ მთის ძირში სწორ მინდორზე ბინავდება; იქ იმართება ღამის თევა და დღეობა. ჩვენ მისვლისას ხალხი უკვე ბლომად იყო მოგროვილი. აქაიქ მოსჩანან კარვები და ფარდაგიანი ურმები. მალე გზაზე გამოჩნდა ცხენოსანთა რაზმი. მათ წინ მოუძღოდა ზურნა და დროშა, რომელსაც ორი მხრიდან ხმალ-ამოწვდილი მცველები მოსდევდა თან. შორიდანვე სჩანდა, რომ მაზრაში საუცხოვო წესრიგი სუფევდა. ესენი დუშელები იყვნენ, რომელნიც დღეობაში მონაწილეობისათვის ჩამოვიდნენ. ისინი გაემართნენ აღმოსავლეთისაკენ და მაღლობზე დაბანაკდნენ. მაშინვე გაშალეს ვეებერთელა კარავი, რომლის წინაც დააყენეს დროშა, დროშასთან კი გამუდმებით იდგა მორიგი ხმლით ხელში. მთელი მინდორი ოქროს კარიანის ხევებით გაყოფილია ოთხ ნაწილად. ჩრდილოეთისაკენ, სადაც ჯირითობა თუ სხვა ვარჯიშობა იმართება, დაბანაკდნენ ერისთავები და სხვა მემამულენი (წინედ თურმე აქ მხოლოდ ერისთავები ბანაკდებოდნენ,). აქვე დაბანაკდა ახალგორელების რაზმი თავის დროშით, ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში დაბანაკდა გარეშე მდებარე სოფლების მცხოვრები სომხობა, აღმოსავლეთისაკენ კი საერთოდ ყველა მლოცველები და სოფლელები. მშვენიერი სანახავი იყო ღამის თევა მთელი მინდორი გაჩირაღდნებული იყო. ზევით დუშელების ბანაკში დაიქუხა თოფმა, დაუკრა ზურნამ და ჰაერში მაღლა ასრიალდა პირველი შუშხუნა, მას მიჰყვა მეორე, მესამე... ქვევით ახალგორელებმა პასუხი გასცეს ასევე, და დაიწყო ლხინი. მთელი ღამის განმავლობაში არ შეწყვეტილა ლხინი, ცეკვა-თამაში, თოფების სროლა და შუშხუნები. მივულოცეთ ახალგორელებს ჩამოსვლა და გავსწიეთ დუშელებისაკენ. აქ მათ დაემზადებინათ ვახშამი. ავეცით თუ არა, დაიწყო ცეკვა-თამაში, სიმღერა და სიტყვები. დუშელების თამადა ყველას ყურადღებას იპყრობდა დარბაისლობით, მამაცური შეხედულებით და გონივრული და საუცხოვო სიტყვებით. აგრეთვე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე იმ წესრიგმა, დისციპლინამ, რომელიც ამ რაზმებში და განსაკუთრებით დუშელების რაზმში სუფევდა. თამადისა თუ დამსწრეთა წარმოთქმულ სიტყვებს თოფისა და შუშხუნების გასროლით აბოლოვებდნენ. დიდხანს გასტანა ლხინმა, წამოვიდა კარგი წვიმა, რომელმაც გვაიძულა კარვებში შესვლა. მეორე დილით ადრე ყველანი ოქროს კარიანისაკენ გავემგზავრენით. გასავლელი გზა არ არის: სულ ერთი ვერსი ან ვერს ნახევარი თუ იქნება, მაგრამ ეკლესია მთის წვერზე მდებარეობს და ფერდობზე ძლიერ ძნელი ასასვლელია. მხოლოდ ვინც ზევით ავა მას დაღლილობას დაავიწყებს სანახაობისაგან გამოწვეული სიამოვნება. ჩრდილოეთით ახლოს მოსჩანს კავკასიონის ჰქარა ქედი, მოსჩანს აგრეთვე მყინვარის ბუმბერაზი მწვერვალი. სამხრეთისაკენ შორს მოსჩანს ბაზალეთის ტბა და მის გვერდით საქართველოს სამხედრო გზა. ზევით კი—მთებს შორის სჩანს არაგვიც, რომელიც გველივით დაკლაკნილა. ზევიდან დაჰყურებს კაცი ამ უცხო სანახაობას და თვალი ვერ მოუშორებია მისთვის. გარშემო, სამების მთაზე, ქვები არა სჩანს და გიკვირს, თუ როგორ ამოიტანეს ამ მთაზე ეკლესიის ასაშენებელი ქვები. თვით ეკლესია ძლიერ ძველია, ფრიად საყურადღებო. აშენებულია უდუღაბოდ. წინედ აქ ბევრი ყოფილა ძვირფასი განძი. კარები ეკლესიას არ ჰქონია და გვერდიდან რამდენიმე ქვა ისეთნაირად არის დაწყობილი, რომ თუ ხერხი არ იცოდა კაცმა ვერას გზით ვერ შევიდოდა შიგ. ერთ ქვას რომ გადასწევდნენ თურმე სხვა ქვების გამოღებაც შეიძლებოდა და ეკლესიაში ამრიგად შედიოდნენ. ეკლესიის საიდუმლო მხოლოდ მღვდელმა და დიაკვანმა იცოდ, მაგრამ ბოროტმოქმედთ უთვალთვალებიათ, გაუგიათ საიდუმლო და რაც ძვირფასი განძი იყო წაღია. მალე [illegible] იპოვეს ძვირფასი ივლები, რომელ ალბად ბოროტმოქმედთ დაებრ ბიათ. აღარ არსებობს მოოქრ კარები, რის გამოც ეკლესიას „ როს კარიანი“ ჰქვიან. მხოლოდ ლესია ხალხისათვის ისევე სათა ნებელი წმინდა ადგილია, როგო წინედ. წირვა ადრე დაიწყო. მ ამოვიდნენ რაზმებიც და ჩამწკრ ნენ ეკლესიის გალავანში შესავ წინ. ნაწირვებს მღვდელმა დროშ აკურთხა, რაზმელები დალოცა დღესასწაული მიულოცა. ეკლეს გალავანშივე გაიმართა ცეკვა-თა ში. საუცხოვოდ ცეკვავდა ბე დუშელიც და ახალ-გორელიც.

ყველანი წამოვიდნენ. დუშელებ რაზმი ადრე ჩამოვიდა და კარავში დადგა. მათ მოჰყვ ახალგორელები და დუშელებს მ ლოცეს, შემდეგ ახალგორელ ბი ჩამოვიდნენ დაბლა, ტრა ციულად მივიდნენ თავ. ნ. ერ თავის კარავთან და მიულოცეს დღ სასწაული. აგრეთვე მიიწვიეს თავ კარავში როგორც თავ. ნიკო ერ თავის ოჯახობა, ისე მისი სტუმ ბიც. მოსალოცად ჩამოვიდნენ დ შელებიც უკვე ცხენებით, მიულ ცეს თავ. ნ. ერისთავს, თავ. ა. ჯ ბაკურ-ორბელიანს და ახალგორ ლებს. შემდეგ გაიმართა დღეო მოსამართლეებად ამორჩეული იყ ენ თავ. ა. ჯამბაკურ-ორბელიანი, ყაზბეგი, ლ. ჩერქეზიშვილი, გ. ბ ბაშვილი და „სახალხო გაზეთის“ რმომადგენელი. პირველად გაიმარ ჯირითი. პირველად იჯირითეს დ შელებმა. დიდი შთაბეჭდილება მ ახდინა ახოვნებით და უშიშრო დუშელების თამადამ. დანარჩენებ კოხტად და თამამად ჯირითობდნ მაგრამ დუშელებს ცხენები არ უ რგოდათ. შემდეგ იჯირითეს აგრე ვე მოხდენილად და კარგად ახა გორელებმა. შემდეგ გაიმართა ც კვა-თამაში და სხვა. დიდი ხნის თბირის შემდეგ ჟიურიმ ასეთნაირა გაანაწილა ჯილდოები:

ვერცხლის ყანწი—ჩაცმულობის თვის, მოწყობილობისათვის, წესრ გისა, დარბაისლობისა და მამაცობ სათვის—**დუშელებს მიუსაჯა.**

სამი ვერცხლის ნიშანი საუკე სო ჯირითისათვის—**მიუსაჯა ახალ გორელებს.**

ოქროს საათი ორივე ჯგუფიდ საუკეთესო მოჯირითეს — მიესა პირადად **გ. ბახუტაშვილს** (დუშ თის მაზრელია).

ვერცხლის საათი საერთოდ ლ კურის თამაშისათვის—მიესაჯა ახალ გორელებს.

ნასადილევს უკანვე ახალ-გორის კენ გამოვემგზავრეთ. მაგრამ ყველ ჩვენგანი სიამოვნებით დარჩებო

ფიქრები სამშობლო ლიტერატურაზე

XVI

„გულდაკოდილი არწივი“.

ვაჟას პოეზია.

(შემდეგი) *

აქედან ავტორის აზრი აშკარად გამოსჭვივის.

ასეთია ნამდვილი, რეალურად გადაშლილი ცხოვრება, რომელსაც უნდა ესწრაფვოდეს ჭეშმარიტი ადამიანი; არა მარტო ადამიანი, არამედ ყოველი არსებული თვის რეალობას მოძრაობაში, ანუ ძალის გამომჟღავნებაში შლის. ეს აზრი მარტივად გამოუთქვამს ფილოსოფოსს ნიცშეს, რომლის მეამბოხე და ალტყინებული ბუნება ფრიად ენათესავება ჩვენის მგოსნის სულსაც.

ფილოსოფოსი გვეუბნება, რომ მთელი მოძრავი ძალა არის „ნება ძლევამოსილებისადმი“ (воля къ мощи), რომ გარდა ამისა არ არის არავითარი სხვა-გვარი ძალა, არც ფიზიკური, არც დინამიური, არც ფსიხიური! საინტერესოა, რომ ნიცშეს ლტოლვა ელინურ მთლიანობისადმი აქაც გამოიხატა მთელის სიძლიერით და მან ამ თვისებას დაუკავშირა მთელი მსოფლიო—მით გადააბა ორგანიული და არა ორგანიული ბუნება. მაშასადამე, მისწრაფება ამ „ძლევა-მოსილების“ ზრდისათვის უნივერსალურ მოვლენად მიაჩნია. მთელი არსი ირლევა რამდენიმე ძალთა ცენტრებად და მთელი ორგანიული და არა ორგანიული ცხოვრება მარტოოდენ განუწყვეტლივ მეტოქეობის სახეაა ამ თვითოეულ ძალთა ცენტრებს შორის, ასე რომ მისწრაფება ყოველ ძალთა ცენტრისა, გახდეს უფრო ძლიერი—არის ერთად-ერთი რეალობა“, (ნიცშეს თხზ. ტომი XV, გვ. 314).

ამრიგად მჟღავნდება ნიცშეს თეორია. აქ ცენტრის მისწრაფება იგივ „ნებაა,—სურვილი ძლიერებისა კი „ძლევამოსილებისადმი“ სწრაფვაა. მაშასადამე, ერთად-ერთი რეალობა არის „ნება ძლევამოსილებისადმი“.

ჩვენ დავინახეთ, რომ ვაჟას სულიერი სწრაფვა და მისი გმირების წყურვილი ერთ-ერთი გამოხმაურებაა ამ „ძლევამოსილებისადმი ნებისა“, რომელსაც აშკარად მოჰკიდებია ქინი და ვნების ცეცხლით იწვის... ვაჟა სიცოცხლის უფლებას სუსტს, ლაჩარს და უტყვ არსებას კი არ ანიჭებს, არამედ ძლიერს ნებით, რომლის არსებაში სიცოცხლის წყურვილის ნაკადი სჩქეფს და სცდილობს ნამდვილ ძალად იქცეს, ისე როგორადაც ყოველი ფიქრი სცდილობს სიტყვად გადაიქცეს. ეს საიდუმლო, შეუცნობელი ძალაა, მაგრამ უფრო ძლიერია შეცნობილზე.

მისი ბედი ხშირად ფატალურია; როგორც ემპირიულად განუსაზღვრელი ძალისა და ამიტომ ვაჟას გმირთა უსაზღვრო სიყვარული სიცოცხლისა და ლტოლვა-წყურვილი ცხოვრებისა მეტ შემთხვევაში საბედისწერო სიკვდილით თავდება. რაკი ვაჟას სულის ნათესაობას აღმოვაჩენთ ნიცშესადმი, ცხადია, ვაჟას სულიერი ტრაგედიაც ნიცშეს ტრაგედიის იერს გადაიკრავს.

ძირი ამ ტრაგედიისა იგივ წინააღმდეგობაა იდეალისა და სინამდვილეს შორის, რომელიც ფილოსოფოსს გულს უმღვრევდა თვის განუზომელობით და რომლის საზღვრები რეალურად ვერ გაიმიჯნებოდა... და თითქოს მან ინტუიციით შეიგნო აუცილებლობა ირაციონალურ საზომის პოვნისა, ამ რეალობის გადაფასებისა და ნელ-ნელა დაუახლოვდა ამ ტრაგედიის კვანძს, რომელიც გიჟურ, ვნებიან ხარხარად გადაიშალა მის შეშლილობის წუთებში...

ნიცშეს ბუნებაში სცოცხლობდა დაუშრეტელი წყურვილი ამ ლამაზ, რაინდულ და ამავე სიცოცხლისადმი. ჭეშმარიტად მისში ღრმად გამჯდარიყო ეს „ნება ძლევამოსილებისადმი“.

„სიცოცხლე“, იტყოდა იგი, „ნიშნავს მუდმივ განდევნას თავიდან იმ „რაღაცასი“, რაიც ისწრაფვის სიკვდილისაკენ. სიცოცხლე-შეუბრალებლობა და სიმკაცრეა ყველა იმისადმი, რაიც სუსტია და ძველი ჩვენში, და არა მარტო ჩვენში*). ეს განდევნა და სიმკაცრე, აშკარაა, ნიცშეს ესმის, როგორც განუწყვეტელივი ბრძოლა სიცოცხლის წყურვილისათვის, ხოლო ბრძოლა იგი გაშლაა ძალთა, როგორც მეტყველება (სიტყვა) გაშლაა გრძნობათა.

„უწინარეს ყოვლისა ცოცხალი არსება სცდილობს მისცეს გამოსავალი თავის ძალას“**) ტრაგედია ამ არსებისა იქ ჩაისახება, საცა აიმართება დაბრკოლება ამ გამოსავალის წინ, საცა გრძნობას სიტყვა დაეკარგება...

ეს აზრი ვაჟას ნათლად შეუთვისებია და ამგვარი ტრაგედიაც განუცდია მის არსებას. ვაჟას სიტყვა კი არ დაუკარგავს გრძნობის სასახავად, არამედ თვითონ ამ სიტყვას დაუკარგავს ძალა ამ გრძნობის გამოსაცემად, ამიტომ იგი ხშირად მდუმარებას არჩევს და სევდა მისი იზრდება.

„არ მინდა ყველა სათქმელად,
ვისაც სურს, გაიგოს თავადა!
გულში ბევრია საფქვავი,
არ მინდა დასაფქვავადა;
დალპეს, დაობდეს და, თუნდა
ჩიტთა შეჭამონ ქიადა!
შენგნით იხარონ ვერხვებმა
დეკა, ურძანთა, ღვიათა
კლდეთა—უენო ჩემ სატრფოთ
და ოთხფეხებთან ფრთიანთა“.
(„სიმღერა“)

აქ ერთხელ კიდევ ნათლადა სჩანს, რაც თავში აღვნიშნე: ვაჟასთვის თქმა მარტოოდენ სიტყვიერი სახვა, რეალურად საწადელ მოვლენათა, შვების ნაცვლად მტანჯავად იქცევა და ისიც მდუმარებას და ცრემლის ჩახშობას არჩევს ხშირად. მაგრამ მისი ტრაგედია კიდევ მეორე მხარით მიმდინარეობს. მასაც, ნიცშესთან ერთად, სწამს, რომ „უწინარეს ყოვლისა, ცოცხალმა არსებამ უნდა გამოსავალი მისცეს თვის ძალას“, ეს კი კერძოდ ვაჟასთვის შეუძლებელი გამხდარა დღის პირობებში, რადგან ირგვლივ ყოველი სდუმს. ყოველივეს პასივობის ბეჭედი აკრავს და მათი მოძრაობა ინერციულია, ვით უნებო ადამიანთა... აქ აშკარად სჩანს ვაჟას უძლურება და ისიც თავის თავს, მტრის წინაშე მდგომს, ადარებს უხმლოს, რომელიც სდგას ხმლიან მტრის წინაშე. ასეთი მდგომარეობა მას ართმევს ბრძოლის შესაძლებლობას, ხოლო, როგორც დავინახეთ, უბრძოლველად მას არა სწამს სიცოცხლე, სხვა მოვლენაში ვერ უპოვია ვერაფერი, რაიც შეარიგებდა ამ სიცოცხლესთან. იგი მტერია ინერციულ, უნებო მსვლელობისა და უტყვ პასივობისა. მაგრამ მას ბედი სჯის და ამიტომ თვით ცხოვრებაც, რომლისადმი ნიცშესებური ცხოველი სიყვარული და მზიური ხალისიანობა ახასიათებდა მას,—ეს ცხოვრებაც შესძაგდება, ვით სიმბოლო უაქტივობისა და ინერციულ ყოფისა... ქმნილება ამ სიცოცხლისა, ყოველ სულდგმულის სათაყვანებელი, დიადი მზე, შესძულებია თითქოს ჩვენს მგოსანს, რადგან მისი სხივები ამ უნაყოფო ცხოვრების სურათს აშუქებენ და გულის ამრევ მოვლენებს ნათელს აფრქვევენ.

„საით და როგორ ვეომოთ“—
ამბობს გულდაკოდილი არწივი,—
ნეტავ, უხმლონი ხმლიანთა?
ამოხვალ, სხვისთვის ანათებ,
ჩემთვის ღამეა ფრიადა;
ვერ მოგრევი შენ იმას,
ვინაც დღე გამიწყვდიადა.“

თითქოს მგოსნის ირგვლივ მუდმივი წყვდიადი გამეფებულიყოს და მზეს მისთვის სინათლის ძალას დაჰკარგოდეს... ასეთი მტანჯავი შეიქმნა სიცოცხლის უშრეტი წყარო და სიმბოლო „მზე“, მიუხედავად იმისა, ანათებს ირგვლივ მისი სხივი თუ ვერ არღვევს გამეფებულ წყვდიადს...

ისე, როგორადაც ბუნებრივია მოსვენება შრომის შემდგომ, ბუნებრივია თვით შრომა მოსვენების შემდეგ. ისე, როგორადაც ბუნებრივია სიცოცხლე, ბუნებრივია სიკვდილიც... მაგრამ ვაჟასთვის ეგ სიკვდილი მხოლოდ მაშინ არის ბუნებრივი, როდესაც ადამიანი თვითონ მიდის მასთან და არა მაშინ, როდესაც სიკვდილი მოდის და იპყრობს ადამიანს. აქაც აშკარად მეტყველებს ვაჟას აქტიურ ბუნების ძალა, რომელიც სიკვდილის წინაც ითხოვს ამ აქტივობას მომაკვდავისაგან.

სიკვდილი ანახლებს სიცოცხლის მიმდინარეობას. ამიტომ, სიცოცხლის სიმბოლოდ იგი გვიხატავს ჯარას, რომელსაც ძველი, დაჩიავებული და დამპალი ფრთები უნდა გამოეცვალოს და მის ადგილას, ახალი და საღი გაუკეთდეს.

ეს კი აუცილებელია, თუ გვსურს, ჯარა იგი—სიმბოლო სიცოცხლისა—ჩქარის ტემპით და მტკიცე სიბეჯითით ბრუნავდეს.

„მშობლები მოკვდეს, რა უშავს,
შვილები რჩება მამასა,
კიდევ ექნება ფრთეები
ამ წუთი-სოფლის ჯარასა.
კარგი მამის შვილს, წესია
მტერიც უფრთხება კვალადა:
ხვალ და ზეგ ვერვინ გაბედავს
შინ შემოგვეჭრას ძალადა.
ყველას ისა სძლევს, სიცოცხლეს
ვინაც არ აგდებს ჩალადა“.
(„მხედართა ძველი სიმღერა“).

სიცოცხლის ასეთ განწირვისათვის ღირსეული მიზანია საჭირო. ასეთ მიზნად კერძო ადამიანთა კეთილდღეობა და საკუთარი ბედნიერება ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოდგება. ვაჟა იმდენად შეზრდია საერ ცხოვრებას და მის ინტერესებს, მ სიყვარულს, რომ გარეშე ამ საერ ბედნიერებისა მისთვის არ არსებო არც ერთი წუთი კერძო ნეტარების

ჩვენ ზევით შემთხვევა გვქონდა ჟას პოეზიის ამ მოქალაქობრივ, ს ზოგადოებრივ მოტივებზე წუთი შევჩერებულიყავით, მაგრამ ეს პა რიოტიზმი იმდენად ძლიერია ვა პოეზიაში, რომ შეუძლებელია ორ სიტყვით კიდევ არ შევჩერდეთ მას

ჩვენ დავინახეთ, რომ ვაჟას ცხო რების მიზანს მარტოოდენ აქტივო შეადგენს. აქ, თითქოს, რაღაც ა ვისტურ გრძნობებს მოუცავს მთე ლი მისი არსება. თითქოს მამა-პაპათ მთელი წყება ლოღიკურ გაგრძელება პოულობს პოეტის ინდივიდუალო ბაში.

ამ განუწყვეტლივ ბრძოლის მამო ძრავებელ მიზნად მასაც, როგორ მის წინაპართ, მიაჩნია მარტ ოდენ კეთილშობილური გრძნობ მამულის სიყვარულისა. რუსთა მწ რალ კარამზინს უთქვამს: „ჭეშმარ ტი პატრიოტიზმი არას დროს ა მსჯელობსო“. ეს დებულება სწორ იმდენად, რამდენადაც პატრიოტიზ თანდაყოლილი, თანშობილი გრძნ ბაა, რომელიც არ შეიძლება ხელო ნურად დაიფაროს და მიიჩქმალოს.

ეროვნულ-კულტურულ მუშაობ დროს დიდი მნიშვნელობა ეძლე ვაჟას კეთილშობილურ, პატრი ტულ გრძნობით გამთბარ პოეზია რომელიც მუდამ-ჟამს გვაგონებს მა-პაპათა ანდერძს და-ჩვენს წმინ ვალს სამშობლოსადმი. ვაჟას პა რიოტიზმიც, ვით ჭეშმარიტი, ორგ ნიული ნაწები ძველ მამა- პათა „მამულის-შვილობისა“ უმ ტესად არ მსჯელობს, არამე კეთილშობილურ განცდაზე გრძნობაზე ამყარებს თვის აზრებ თუ ამ პატრიოტიზმის ზოგ თვის ბებს უკრო ღრმად ჩავუკვირდები ჩვენთვის აშკარა გახდება, რომ ვა

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 871.

*) იხ. ნიცშეს თხზულებანი ტ. V გვ. 68.

**) ibid ტომი VII გვ. 24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცის სიყვარული

შორის ოხვრით, შორის ბნედით
მიყვარს!.. მიყვარს სულით!.. გულით!.
სამარეში თანჩამყოლის
აღმაფრენილ სიყვარულით!
არ მგონია, რომ იმაზე
იყოს ვინმე უკეთესი.
ტკბილად მდაგავს სიყვარული,
მისგან გულზე დანაკვესი.
როცა სოფლად მე,—დამაშვრალს,—
დამიბმევა ტანჯვით ენა,
საკმაოა ჩემთვის მხოლოდ
ერთი მისი წარმოდგენა.
სევდა, გულში ჩანაკირი,
გზას დაუთმობს სიხარულსა
და ვადიდებ მაშინ ვით ღმერთს,
ამ უცნაურ სიყვარულსა!

1913 წ. 15 ივლისი.

აკაკი.

კიდევ იქ, მთებში, სადაც ასე წმინდათ შეუბილწავად შენახულა ქართველური სული, ადათები და დღესასწაული. **კორდელი.**

მცირე შენიშვნა

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემულ „ძველი საქართველოს“ მეორე ტომის გადათვალიერების დროს უნებურად მივაქციეთ ყურადღება ერთს გარემოებას. წიგნს წინ დართული აქვს შესავალი რუსულად და ფრანგულად, სადაც მოყვანილია სახელები წერილებისა და მოკლე განმარტება. ეს ფრიად საჭიროა უცხოელებისათვის, რომლებიც თვალს ადევნებენ ქართულს საისტორიო მეცნიერებას. მაგრამ ვერ გაგვიგია, რა საჭირო იყო ქართულ გვარების და სახელწოდების გადარუსულება. თუ მაინცა და მაინც აუცილებელი იყო რუსულად დაბეჭდა „დავიდ ზახარიევიჩ სარაჯევ“ დ „ნიკოლაი ვისარიონოვიჩ გოგობერიძე“, რამ მოითხოვა ამავე გვარების რუსულის გამოთქმით და გადაკეთებით დაბეჭდვა ფრანგულ ენაზე? განა ქართულის ენის თვისებაა, ვიხმაროთ **David Zakharievitsh** ან **Yisolas Yissarionovitch**? თუ წიგნში ქართულად ნახმარია „სარაჯიშვილი“, ფრანგულად რატომაა დაბეჭდილი „სარაჯევ?“ მერე სარაჯიშვილის სურათს რატომ აქვს ქვეშ რუსული ავტოგრაფი, განა განსვენებული სარაჯიშვილი ქართულად არა სწერდა?

კარგად ვიცით, რომ პატივცემული საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ქართველი ერის აღორძინებას და გადმოგვარებას ემსახურება და არა გადაგვარებას, მაგრამ არ შეგვიძლიან მაინც არ აღვნიშნოთ ზემოხსენებული უნებური შეცდომა.

ხანი.

საზოგადოების საყურადღებოდ

ქართული სამეურნეო საზოგადოება სთხოვს ყველა იმ პირთ, რომელთაც კურსი დაუმთავრებიათ წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სასწავლებელში, მოაწოდონ საზოგადოებას თავიანთ ფოტოგრაფიულ სურათებთან ერთად შემდეგი ცნობები: 1) სად განაგრძეს სწავლა ამ სკოლის შემდეგ, 2) რა საქმეში არიან ამ ჟამად, 3) თუ მეურნეთ დარჩნენ, სად ეწევიან მეურნეობას—საზოგადო დაწესებულებაში, საკუთარ მამულში, თუ კერძო მემამულესთან, 4) რა შედეგი მოჰყვა მათ მოღვაწეობას ამა თუ იმ სამეურნეო დარგში და რანაირის თანდათანობით ვითარდებოდა მათი სამოქმედო ასპარეზი, 5) საყურადღებო ფაქტები, რომელც ახსოვთ სკოლის ან მის დამარსებლის გ. ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილის ცხოვრებიდან.

ეს ცნობები საჭიროა რაც შეიძლება მალე მოაწოდონ საზოგადოებას, რადგან საიუბილეო დღესასწაულის გამო განზრახულია სკოლის ვრცელი ისტორიის შედგენა და გამოცემა.

სასურველია აგრეთვე გაგვიზიარონ თავიანთი შთაბეჭდილებანი და მოგონებანი ამ სკოლის შესახებ იმ პირთ, რომელნიც ოდესმე ყოფილან ამ სკოლაში მასწავლებლებად ან სხვა თანამდებობის აღმასრულებლად.

მისამართი ცნობების მოსაწოდებლად: ტფილისი, ბარიათინსკის ქუჩა, **№ 5**, ქართულ სამეურნეო საზოგადოებას.

ვსთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ.

ბიბლიოგრაფია

ს. ლ. ავალიანი. „გლეხთა საკითხი ამიერ კავკასიაში“ ტ. 1. ბატონყმობა და საგლეხო რეფორმა ტფილისის და ქუთაისის გუბერნ. ოდესა 1912 წ. XV 514 გვ.

„რეჩ“-ში ბ. კაუფმანი სწერს: ბ. ავალიანის წიგნი არის დასაწყისი იმ დიდი, ექვს ტომიან შრომისა, რომელიც შეიცავს ისტორიას და გლეხთა თანამედროვე მდგომარეობას, იმ დროიდან მოყოლიებული, სანამ საქართველოში რუსეთის მპყრობელობა დამყარდებოდა, დღევანდლამდის. ამ ტომის პირველი თავი შეიცავს საქართველოში არსებულ საბატონ-ყმო უფლების განმარტებას, მეორე რუსეთის მპყრობელობის ეპოქის ბატონ-ყმობის უფლების დახასიათებასა და იმ ღონისძიებათა განხილვას, რომელნიც მიღებული იყო ამ საკითხის მოსაწესრიგებლად — დანარჩენი ნაწილი წიგნისა მოგვითხრობს საგლეხო უფლების რეფორმას საქართველოში, ე. ი. ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში. როგორც ბ. ავალიანისაგან მთელი განზრახული ნაშრომის სიდიდე, აგრედვე პირველი ტომის სიდიდეც გვიჩვენებს, რომ ეს ნაშრომი არის, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მეცნიერული ნაშრომი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ემყარება გამოუცემელ საარქივო მასალას; ვფიქრობ ავტორი მიზნის შესაფერისად იქცევა, როდესაც მთლიანად მოჰყავს უმთავრეს საბუთების შინაარსი, და ხშირად, ამ საბუთების უმთავრესი ადგილები გძელი ციტატებით. უკვე ამით. ბ. ავალიანის ნაშრომი ამიერკავკასიის გლეხთა საკითხის ისტორიაში საპატიო ადგილს დაიჭერს, ფართო მკითხველისათვის, კავკასიით დაინტერესებულთათვისაც-კი. ეს წიგნი ძნელი მისაწდომი იქნება. სჩანს ეს სცოდნია, ავტორს რადგანაც დიდი ყურადღება არ მიუქცევია ფორმისათვის

რასაკვირველია საგაზეთო რეცენზიით არ შეიძლება განვიხილოთ ავტორის უმთავრესი დანასკვნიც-კი. არ შეგვიძლიან არ მოვიყვანოთ უპირველესად ყოვლისა, ავტორის დახასიათება ბატონ-ყმობის ეპოქის რუსის მთავრობის პოლიტიკისა. ამ პოლიტიკის ძირითად მიზანს შეადგენდა ის, რომ ბატონ-ყმური ურთიერთობა ისეთი ნორმებისათვის შეეფარდებინათ, როგორიც თვით რუსეთში არსებობდა. მაგრამ—ამბობს ბ. ავალიანი—საქართველოში არსებულ ბატონ-ყმურ უფლების რუსულ კანონთან შეფარდების დროს ყოველთვის ვერა ხერხდებოდა ობიექტივობას დაეცვა ხშირად რუსის კანონის ჩარჩოებში ათავსებდნენ სრულიად შეუფერებელ ურთიერთობას. ეს იწვევდა ძველი წესების სრულიად უსარგებლო და ზედ-მეტ რღვევას. რუსის მთავრობის მუშაობის მიმართულებას—ამბობს შემდეგ ავტორი—არ ემჩნეოდა ის თანდათანობა და სისტემატიურობა, რომელიც საჭირო იყო სამხრეთ კუთხეში რუსის მოქალაქეობრივობის დასამყარებლად; ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩვენ ვხედავთ უსწორმასწორო, რყევის პოლიტიკას, პოლიტიკას უფროს მოხელეებისას და არა სისტემის პოლიტიკასა, რაც მეტის-მეტად უშლიდა ხელს რუსის კანონის გავლენის გავრცელებას საქართველოს ყმებში. ამ პოლიტიკამ შეჰქმნა არეულ-დარეულობა, გამოურკვევლობა და ბუნდოვანობა, რაც საერთოდ კი არ იზიდავდა ხალხს ახალ მთავრობისაკენ, არამედ მთავრობა ამხედრებდა ხალხს თავის წინაამდეგ. ადგილობრივ მცხოვრებელთ არ ესმოდათ, რა შემოჰქონდა ახალ მთავრობას. ეს იწვევდა მთავრობისა და ხალხის ერთმანეთისაგან დაშორებას. მთავრობა კი ამაში ადგილობრივ მცხოვრებლებს ამტყუნებდა და არა თავის თავს. შემდეგში ეს ერთმანეთის გაუგებრობა უფრო გაიზარდა, განსაკუთრებით ჩვენს დროში“ (X).

საერთოდ გლეხთა განთავისუფლების ისტორია საქართველოში ისეთსავე სურათს გვიხატავს როგორიც იყო რუსეთში: იგივე ბრძოლა თავად-აზნაურობასთან მთავრობისა, რომელიც მივიდა იმ დასკვნამდის, რომ საჭიროა გლეხთა განთავისუფლება, ამასთანავე ერთად განთავისუფლება მიწით. ბრძოლა, რომლის ნაშთებიც განსაკუთრებულ ელფერს იღებენ ადგილობრივ თავად-აზნაურთა უკულტურულობისა და წმინდა-სამხრეთელ ენაწყლიანობის გამო. „ჩვენ გვესმის შრომა და ამაგი მათი (გლეხებისა) ჩვენდა საკეთილდღეოდ,—ლაპარაკობდა, მაგალითად, ერთი ადგილობრივი გამოჩენილი მოღვაწე თავად-აზნაურთა სახელით, ვიცით როგორც მამა-პაპათა გადმოცემით, ისე პირადი დაკვირვებით. როდესაც დადგა ჟამი გაყრისა, ჩვენ გვსურს დავუმტკიცოთ მათ კეთილშობილური ხსოვნა და მასთან ერთად მთელი მხარის სასარგებლოდ, მოვსპოთ ის უთანხმოება, რომელიც ჩამოვარდა ამ ბოლო დროს ჩვენ შორის. იქამდის მხურვალე, იქამდის გულწრფელია ჩვენი სურვილი გლეხების ცხოვრების გაუმჯობესებისა, რომ გადავსწყვეტეთ ამ სურვილის განსახორციელებლად შევსწიროთ მსხვერპლი, რომელსაც ვერავინ ვერ სცნობს მცირედად“. (256) ეს მსხვერპლი იყო გლეხთა **უმიწო-წყლოდ** განთავისუფლება, რომელსაც თავად-აზნაურობა მოითხოვდა, თუმცა კი იცოდა, რომ მთავრობა „არავითარ შემთხვევაში არა სთანხმდებოდა გლეხების უმიწოწყლოდ განთავისუფლებას“. (273). გლეხთათვის მიწის მიცემა, ლაპარაკობდნენ მაღალ ზნეობიანი ქართველი თავად-აზნაურები, იმას ნიშნავს, რომ „გამოვიწვიოთ გლეხთა უმადურობა“ გულკეთილ მემამულეებისადმი: ეს იმის მსგავსი იქნება, რომ უთანხმოება ჩამოაგდო მშობელთა და შვილებს შორის, მაშასადამე, ეს წინააღმდეგი იქნება ზნეობრივისა და ღვთის კანონებისა“ (260). გულკეთილმა „მშობლებმა“ თავისი გაიტანეს: ამიერ-კავკასიისათვის „დებულებანი“ უფრო მეტად ჰკვეთდნენ გლეხების მიწის მფლობელობას ვიდრე რუსეთში: საკმარისია ვსთქვათ, რომ საშუალოდ, ტფილისის გუბერნიაში, კომლის მიწის მფლობელობამ დაიწია 5,^{9} დესიატინიდან 3,^{9} დესიატინამდე. ამან უფრო მეტად დაამძიმა გლეხთა ბეგარა, და ბატონყმობა ჩვენ დრომდე დარჩენილია დროებით ვალდებულ გლეხების სახითაო.

რუსეთი

პროფესორი გრიმმი.

როგორც ვიცით პეტერბ. უნივერ. პროფ. გრიმმი გადაიყვანეს ხარკოვის უნივერსიტეტში. ამ გადაყვანას სხა და სხვანაირად ხსნიდნენ. სხვათა შორის ამბობდნენ, რომ გრიმმი კასსომ გადაიყვანა იმიტომ, რომ სახელმწიფო საბჭოდან მოეცილებინაო. ეს ხმები, გრიმმის მეგობარ პროფესორების სიტყვით მართალი არ არის, რადგანაც გრიმმი ძალიან ლოიალური წევრია საბჭოსი და მინისტრისათვის არც კი უპასუხნიაო. გარდა ამისა, ხარკოვში გადაყვანით გრიმმს უფლება არ ეკარგება საბჭოს წევრად დარჩესო, გრიმმს რამდენიმე წინადადება მოსვლია საზღვარ-გარეთელ უნივერსიტეტიდან, სადაც პროფესორად იწვევენ.

კიევის საკომერციო ინსტიტუტის თავისუფალი მსმენელნი.

კიევის უმაღლეს საკომერციო ინსტიტუტის თავისუფალ მსმენელთ სამხედრო ბეგრის მოსახდელად შეღავათს არ აძლევენ. ამის გამო ინსტიტუტის გამგეს სამინისტროსათვის მოხსენება წარუდგენია და შუამდგომლობა აღუძრავს. სამინისტრო თანაგრძნობით მოჰკიდებია ამ მოხსენებას და თვის აზრის დართვით სამხედრო სამინისტროსათვის წარუდგენია განსახილველად. ხოლო სამხედრო სამინისტროს, როგორც ამბობენ, არ მოუწონებია ინსტიტუტის გამგის შუამდგომლობა. თუ ინსტიტუტის მსმენელთ შეღავათი არ მისცეს, დიდი ნაწილი იძულებული იქნება, სწავლას თავი დაანებოს.

სხვა და სხვა ამბავი

დ'ანუნციოს ახალი დრამა.

ცნობილ იტალიელ მწერალს გაბრიელ დ'ანუნციოს დაუწერია ახალი დრამა „რკინა“. დრამა დაწერილია ფრანგულ ენაზე. გმირნი დრამისა ორი ქალია—რძალი და დედამთილი, რომელთაც ერთი და იგივე კაცი უყვართ, დედამთილის საყვარელი. „რკინა“ ერთსა და იმავე დროს წარმოდგენილი იქნება იტალიაში და საფრანგეთში.

სტუდენტის განცხადება

ქ. რიგას ერთ-ერთ გაზეთში მოთავსებულია ასეთი ფრიად საყურადღებო განცხადება: „სტუდენტი-მედიკი ეძებს ადგილს მეეზოვის ან კარის კაცისას, მისამართის გაგება რედაქციაში შეიძლება“. „რიგას აზრი“ ამის გამო სწერს: როდესაც პატარა დორპატში, სადაც ორი უმაღლესი სასწავლებელია, საბეითლო ინსტიტუტის მსმენელი ითხოვს „მეშეშის“ ადგილს, კიდევ გასაგებია, მაგრამ როდესაც დიდს, მდიდარსა და კულტურულ რიგაში სტუდენტი-მედიკი მეეზოვის ადგილს და ეძებს—ეს პირდაპირ დაუჯერებელია.

სტუმართ მოყვარეობა.

წელს რუსეთს ეწვია ანტიოქიის პატრიარქი გრიგოლ მე IV. მთავრობას პატრიარქის სტუმრობა 19,005 მან. და 26 კაპ. დაჯდომია.

მილიონერის მეგობრები

პეტერბურგში, გარდაიცვალა ვინმე ქვრივი ვერპუხოვისა, რომელსაც რამდენიმე მილიონის ქონება ჰქონდა. იგი სცხოვრობდა თავის საკუთარ სახლში. ვერპუხოვისას სახლში მდგმურები არ აღმოჩნდნენ. მთელ სახლში იდგა განსვენებული თავის მეგობარ ძაღლებითა და კატებით რომელთა რიცხვი 40 უდრის. ყოველ ძაღლსა და კატას ცალკე ოთახი ჰქონიათ. „მეგობართა“ სადგომი ძალიან სუფთად და მდიდრულად ჰქონია მოწყობილი. ყველას თავ-თავის საჭმელ-სასმელი ჭურჭელი ჰქონია. განსვენებული ყოველ დღეს თითონ უკვეთდა მზარეულს სადილს, რომელიც ჰკეთდებოდა 18 გირვანქა ხორცისაგან და 9 ქათმისაგან. გარდა ამისა რამდენიმე ბოთლი რძე და ნაღები მოჰქონდათ. ყოველ დღე ძაღლები და კატები სასეირნოდ დაჰყავდათ ეტლით.

სახალხო უნივერსიტეტები სოფლად.

პეტერბურგის მაზრის საერობო მართველობას მიჰმართა წინადადებით მასწავლებელმა ლემბილოტოვმა, რომ გახსნან სოფლებში კურსები მოზრდილთათვის; კურსები უნდა

ჭეშმარიტი მაჩხილებელი სინიდისია ძველ ქართველ რაინდთა და მასაც იმ რიგად ესმის ეს მცნება, როგორც ამ ჩვენ სახელგანთქმულ წინაპართ ესმოდათ. ამას აშკარად დაგვიმოწმებს ჩვენი ისტორია, თუ მასზედ ერთის წუთით შევჩერდებით... რადგან ეს შორს წაგვიყვანდა, მე აღვნიშნავ მარტო ერთ მხარეს ამ მოვლენისას.

ისტორია გვეუბნება, რომ ქართველი ერი მუდამ გაურბოდა უმიზეზოდ და უაზროდ სისხლის ღვრას. ქართველმა ერმა არ იცის სხვა ერებზე მიხტომა, მათი დარბევა, ზნე-ჩვეულების დევნა და, თუ ასე შეიძლება ითქვას, ივერიზაციის ტენდენცია; წინააღმდეგ, ჩვენი წარსული გვეუბნება, რომ ხმალს მაშინ ვიღებდით და სისხლის ტბას მაშინ ვადენდით, როცა მტერი ჩვენს მამულს შემოესეოდა და ჩვენს წმინდათა-წმინდას—ეროვნულ თავისუფლებას წალეკას უქადდა. თუ, მიუხედავად ამისა, ჩვენი ერის ისტორია შეუწყვეტელ ომებისაგან შესდგება, ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ჩვენი ქვეყანა თავიდანვე „ნატვრის თვალი“ გახდა ძლიერ სახელმწიფოთათვის და ისინიც მოსვენებას არ აძლევდენ საქართველოს: როგორც კი მოხერხებულ დროს შეურჩევდენ, მაშინვე შეესეოდნენ და მის რბევას ხელს მიჰყოფდნენ. მაგრამ პატარა საქართველო მაინც არ მოისპო, ჩვენი ხალხის უსაზღვრო პატრიოტულმა გრძნობამ და ხიმამაცემ დაიცვა იგი განადგურებისაგან. როგორც კი ოდნავ მოისვენებდა ჩვენი ერი, მაშინვე შეუდგებოდა მშვიდობიან მუშაობას და კულტურულადაც წინ იწევდა, ამავე დროს იგი ემზადებოდა ახალი ომისათვის, რომლისათვისაც მას, ადრე თუ გვიან, იძულებულ ჰყოფდნენ.

აქ ჩვენ ვხედავთ, რომ ქართველ ერს მაღლა ეჭირა კეთილშობილურ-პატრიოტული დროშა და სამარცხვინო ნაბიჯი, რომელსაც ახასიათებს ტენდენცია უცხო ერზე გაბატონების, მისი ინდივიდუალობის გაქრობის, ასეთი ნაბიჯი მას არასდროს არ გადაუდგამს, ხოლო ასეთი იერიში მასზე ძლიერ ხშირად მიუტანიათ; საბედნიეროდ მეტად აფასებდა ამ ინდივიდუალობას ქართველი ერი და მისთვის განწირვას და სიკვდილს არასდროს იგი არ ნანობდა. ასეთ რაინდულ თავგანწირვით შეიძლებოდა მარტოოდენ გადარჩენილიყო გაქრობას ეს მცირე-რიცხვოვანი ერი, რომელსაც მუდამ აუარებელ მტრებთან უხდებოდა ბრძოლა. ასეთი გმირულ თავდადების სურათი მრავლად აქვს აწერილი ვაჟას და მისი შემოქმედებაც ცოცხალი დოკუმენტია ჩვენის საარაკო წარსულისა, მითიურ პიროვნებათა ცხოვრებისა და ღვაწლის. მაგრამ ეს კიდევ არ კმარა. მას, გარდა ამისა, სისწორითა აქვს გადმოცემული ზემოაღნიშნული თვისება ქართველი ერისა, მისი ისტორიის სწორი სახე. ეს პატრიოტიზმი ჭეშმარიტი გრძნობაა ჩვენის წინაპრებისა და მასში გადაჭარბებული არა არის რა...

„სამშობლოსათვის სიცოცხლეს
ისე ვწვავთ, როგორც ჩალასა.

. . . .

ცოცხლები არვის დაუთმობთ
მშობელი მიწის ღალასა;
სიკვდილს აღუთქვით სიცოცხლე
და პირი სისხლით ბანასა...

. . . .

სამშობლოს არვის წავართმევთ
ჩვენს ნურვინ შეგვეცილება
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება:

. . . .

შვილებს საზღაპროდ ექნება
ჩვენი ბრძოლა და ომები!
არ მივცემთ მტერსა სამშობლოს,
გულში დავიცემთ დანასა
არ მივცემთ უცხო ტომისას
თავის მამულის ღალასა;
ესევ ასწავლონ დედებმა,
შვილს როს ეტყვიან ნანასა“...

* * *

ჩვენ შემთხვევა გვქონდა აღგვენიშნა, რომ ვაჟას სათაყვანებელი გმირი მუდამ ფართო და სრულ მიზნის მატარებელია, საერო იდეალებითაა აძოძრავებული მთელი მისი აქტიური ბუნება, მას არა სწამს საკუთარი ბედნიერება.

ასეთივეა იგი უაღრეს მწუხარების დროსაც. ჩვენ ვნახეთ, რომ მინდიამ („გველის მჭამელი“) ვერ გადაიტანა სამშობლოს დარბევა, მშობელ ერის მწუხარება და გული გაიგმირა. ეხლა ავტორი მეორე მხრით უვლის ამავ საკითხს და ძველი ქართველი მეომარი ჩალხია გამოჰყავს უსაშინელეს შავბედით ძლეული; მაგრამ ჩალხიას გული არ უტყდება და იგი, კერპი და ამაყი, ცრემლებს ჰფარავს, რომ მტერს გული ატკინოს. საკუთარი უბედურება სძლია, რაკი წინ უდგა უფრო დიადი საქმე საერთო ბედნიერებისა. ჩალხიას სახლში სამი კუბო სდგას: ცოლისა და შვილების, ასე რომ „აღარ ვინ დარჩა ვაჟკაცსა იმისი ამყოლ-დამყოლი; აღარც ლაშქრობას ერთგული, აღარც საქმეზე გამყოლი“. აქ მთელი ხალხი შეკრებილა და მწარედ ქვითინებს, „დგანდგარებს მთელი დარბაზი მკვიდრად ნაგები ყორითა“, მარტოოდენ ჩალხია სდუმს, იგი დამჯდარა ფეხი-ფეხზე გადადგმული ტახტის ბოლოს და „ჩიბუხსა სრუტავს სრუტავს მხოლოდა. ვინა ისეთი მოზარე, რომ იგი აიყოლოსა?“

მის ამაყ გულს ერთის წუთითაც არ ავიწყდება, რომ ცრემლი მტერს გაახარებს და მასაც ლაჩრად გამოიყვანს, ამიტომ „გულშივე მარხავს ნაღველსა, არ გამოაჩენს გარედა“. იგი, ვით სამშობლოს მოყვარული, ჭეშმარიტი მეომარი მარტო იმაზე ფიქრობს, რომ სიკვდილი უმნიშვნელო რაიმედ აქციოს, მის ძალას ანგარიში არ გაუწიოს და მით სხვების გულში სიამაყე და თავგანწირვა აღზარდოს,

„გააადვილოს სიკვდილი
ლაჩარის ხალხის თვალშია:
როს ხმალზე საქმე მიდგება,
არ აკანკალდეს მკლავშია.
ვისაც სიკვდილი აშინებს,—
ვინ გაიყოლებს ჯარშია?!“
(იხ. „ქირისუფალი“).

ჩალხიას ასეთი ყოფა მეტად ენათესავება მის ღირსეულ ამხანაგებს, ჭეშმარიტ მებრძოლთ, რომელნიც მასთან მოვიდნენ და „თითო ოროლი წარმოსთქვეს სიტყვები ბოძიანები“. ამათ მოიტანეს დოქებით არაყი, გახსნეს თვითონაც დალიეს და ჩალხიასთან „ალავერდი“ გადავიდნენ. შესანდობელსა სმენ და თან ეუბნებიან სანუგეშოდ ქირისუფალს:

„ჩვენ არაყ შავსვათ, ჩალხიავ,
დიაცთ საქმეა ქვითინი,
ჩვენი კი—ხმლების ტრიალი
და ლურჯების ბიბინი;
ვინაც დაგაკლდა, გიცხონოს,
ღმერთმა გაკმაროს ზარალი:
საერთო არის სიკვდილი—
ყველას თავ-გადასავალი“...

ამით უფრო გამხნევებული, ჩალხია სულ ერთიანად შეუკრავს გზას ცრემლებს და, მიუხედავად იმისა, რომ უმხელი ტანჯვა შეუდარებლად ქენჯნის და სულს უწეწავს, იგი მაინც კმაყოფილებას განიცდის, ვით გულადი მეომარი; და კიდევ მეტიც... მან მტრის გულ-საგმირავად ესეც არ იკმარ და

„ვერ ჰყურობთ, ქირისუფალსა
რომ ამ დროს ჰბედავს მღერასა!
მოატანინა ჩონგური,
დაჰკრა, დაიწყო სიმღერა

. . . .

მტრისთვის ეს ხოლვერა იყო
მოკეთის გული მთელდება
აღარც მას, აღარც ჩალხისა,
ყოფნა არ გაუძნელდება
და სხვასაც ამისთანა დროს
ბუნება გაუმხნევდება“.

ასეთ ნაირად გააადვილებინა ძველ რაინდს საკუთარი ვარამი საერთო კეთილდღეობის წყურვილმა, ასე გაადვილებინა და დაამარცხებინა ძლიერზე-ძლიერი სიკვდილიც. აი, ასეთი ბუნების ნაზიარები ვაჟა, ასეთი ძლიერი სულის მძიებელი და მოყვარული, საშინლად გულმკვდარია, რა ხედავს დღევანდელ დაწვრილმანებულ და ლაჩარ ადამიანებს, რომელნიც საკუთარ ქერქში მომწყვდეულან და სიკვდილის შიშით მოცულან. იგი ადამიანი არსებითად მონაა და ვაჟას თავისუფლების ამაყ შვილს, მზის სხივებში მონავარდე არწივს, არ შეუძლიან ამ წრეში ყოფნა. იგი იმხაძება სინამდვილით და უნდა როგორმე ჩაახშოს ეგ წვრილმანობა, ლაჩრობა და მონობა, უნდა აღარ ხედავდეს ქართველთა გადაგვარებულ ბუნებას ფხიზელის თვალით და დათრობის წყურვილი ერევა. მას, ქინ-მორეულს სწყურიან „ქეიფი“, სწყურიან წუთით მაინც მოახტეს მერანს და აღარ უცქერის მონის, დასახიჩრებულ, დაუსრულებელ უაზრობით აღსავსე, სახეს. ყოველ-დღიურ ტანჯვით და სულიერ წვრილმანებით მოღლილს, მას სწყურიან, გონების ჩახშობით, გრძნობას მიეცეს, აღმაფრენის ფრთებს აჰყვეს და ხანმოკლე ნეტარება, „ქეიფი“ განიცადოს. ამ თავდავიწყების დროს მას უანგარიშო, გიჟური რაინდობის წარმოშობა უფრო ძალუძს...

„მთვრალი თუნდ კლდეზე გადაგდე,—
ამბობს ვაჟა,—
თუნდ გვერდში ჩხვლიტე ხიშტები...
სიმტკივნეს როდი-და მტკივნობს,
რაკი სილაღე ეწვევა...
ღვინისგან მკვდარიც ცოცხალ არს
და მძიმე უღელს ეწვევა“... (იხ. „პირველ გაზაფხულის სურათები ბარად“).

ეს გრძნობა ამ ქვეყნიურობის სიმძაგლით მოღლისა და თავდავიწყებითი წყურვილის, გრძნობა, როცა ადამიანი, არსებულ წვრილმანობისაგან თავისუფალი, მთლიან და ლაღ პიროვნებას განიცდი, მეტის მხატვრობით და სიცოცხლით არის გადმოცემული ერთ პატარა მშვენიერ ლექსში, რომელსაც მთლად მოვიყვან:

ქეიფი.

„დამისხი, დამალევინე
ე, ღვინო, ოხერ-ტიალი,
ეგება წაღმა ვიფიქრო
სოფლის უკუღმა ტრიალი!
ეგება გულის ვარამი
ჩავკლა მა ჯიხვის რქაშია,
თვალწინ დამიდგეს ლაჟაზი
ჟრჟოლა მამკიდოს ტანშია,
დეზი ვკრა ჩემსა მერანსა,
გადავერიო ზღვაშია.
თქვენთან ძაღლურად სიცოცხლეს,
სიკვდილი მიჯობს ცაშია;
ვერ მააწონებთ კარგს ყმასა,
რაც არ უჯდება ქვაშია!“

აქ აშკარად გამოსჭვივის იგივ პრობლემა, რომელზედაც ზევით შევჩერდით; პრობლემა „სირცხვილ-ნამუსისა“. აქტიურობის წყურვილი და მისი შეუძლებლობა, თავისუფლების ტრფიალი და არსებული მდგომარეობა. მამა-პაპათა მცნების მივიწყება—ყველა ეს საშინელ სირცხვილად აწევს კისერზე ჩვენს მგოსანს და ამ მძიმე ტვირთის ქვეშ მოხრილა მგოსანი და ხეცის შვილს „მიწაზე ახოხებს“ იგი სიმძიმე.

„შავი დამაწვა ღრუბელი,
არც მომკლა, აღარც მაცოცხლებს
განადგურებას მიპირებს,
დაბლა ჰქისებრ მაცოცებს
ვერ ვიღებ თავსა“... და სხვ.

ასეთ მდგომარეობაში მყოფ მგოსანს აღარც სხვისი იმედი აქვს (არსებითად ეს უძლურება სხვათა სისუსტიდან გამომდინარეობს), რადგან იცის, რომ

„არავინა მყავს მეშველი,
მკლავნი სუსტობენ ძმისანი,
სასაცილოდაც არ ყოფნისთ
ცრემლები იმის დისანი...“

აკაკი პაპავა.

(დასასრული იქნება)

იყვეს სახალხო უნივერსიტეტის ხასიათისა, როგორიც, მაგალითად, ფინლანდიაშია გავრცელებული სოფლად. წინადადების შემტანის აზრით ეს კურსები იქნება საუკეთესო იარაღად სოფლის ახალგაზრდობის თავხედობასთან საბრძოლველად. საერობო სამმართველო დიდის თანაგრძნობით მოჰკიდებია ამ წინადადებას და დაუდგენია, შეიტანოს ეს საკითხი მახლობელ საერობო კრების სხდომის რიგში.

„შეცდომა“.

პეტერბურგში „ობვოდნი“ არხიდან ამოიღეს უცნობის გვამი, რომელსაც ბლაგვი იარაღით თავის ქალა ჰქონდა გაპობილი. გამოძიების შემდეგ აღმოაჩინეს, რომ მოკლული იყო და არხში გადაგდებული ვინმე ხელოსანი პავლე ბოგდანოვი, რომელიც ამას წინად დაიკარგა უკვალოდ. გვამი უჩვენეს ბოგდანოვის ქირისუფლებს, და მათაც გვამი პავლე ბოგდანოვად იცნეს. ამის გამო დააპატიმრეს 3 კაცი, რომელთაც ბოგდანოვის მკვლელობას აბრალებდნენ. სანამ გამოძიება გათავდებოდა, ბოგდანოვის დედასთან მივიდა მისი „განსვენებული“ შვილი პავ. ბოგდანოვი, რამაც დიდი აურ-ზაური გამოიწვია მთელს ოჯახში. როდესაც დედა დარწმუნდა, რომ მისი შვილი ცოცხალი იყო, განუცხადა პოლიციას თავისი შეცდომა. ამ საქმის გამო დაჭერილნი გამომძიებლის განკარგულებით გაანთავისუფლეს.

სასამართლო

დიფამაცია.

17 აგვისტოს ტფ. ოლქის სასამართლოს მეორე განყოფილებამ გაზეთ „ზაკავკაზსკაია რეჩ“-ის რედაქტორის დ. მ. დუმბაძისა და ჟურნალისტის ლ. დ. ყიფიანის საქმე გაარჩია. ისინი სამართალში მიცემულნი იყვნენ სისხლის სამართლის მე-1039 მუხლის ძალით (დიფამაცია). საქმის ვითარება შემდეგია:

„ზაკ. რეჩ.“-ის მე-181 ნომერში (1912 წელს) დაბეჭდილი იყო წერილი ლ. ყიფიანისა შემდეგ სათაურით: „მყუდრო და წყნარი ცხოვრება“. წერილში აღნიშნული იყო ტფ. სარკინიგზო სასწავლებელში გამეფებული წესები; დასახელებული იყო სასწავლებლის ეკონომი-ქალი ვოლკოვისა, რომელსაც, ავტორის სიტყვით, მოსწავლეთა თანადასწრებით მეტად თავ-აშვებულად ეჭირა თავი მასწავლებლებთან.

ამ წერილით სასწავლებლის ინსპექტორმა პ. პ. ვოევოდამ, რომელსაც აბარია თვალყურის დაჭერა სასწავლებლის წესებზე, თავი შეურაცყოფილად იცნო და როგორც რედაქტორი დ. დუმბაძე, ისე ლ. ყიფიანი სამართალში მისცა.

ამას გარდა ლ. ყიფიანი ცალკე სამართალში მისცეს სასწავლებლის მასწავლებლებმაც შესტაკოვმა და გაბუნიამ, რომელთაც წერილში მოყვანილ ინიციალებში („შ“. და „გ.“) თავიანთ თავი იცნეს. ეს უკანასკნელი საქმე სასამართლომ წინად გაარჩია და ლ. ყიფიანი 20 მან. დააჯარიმა.

17 სექტემბერს ლ. ყიფიანი ავადმყოფობის გამო სასამართლოში არ გამოცხადდა და საქმე მის დაუსწრებლად გაირჩა.

ბრალდებულმა დ. დუმბაძემ თავი დამნაშავედ არ სცნო და განაცხადა, მასალა წერილისათვის ამოღებულია სასამართლოში გარჩეულ იმ საქმიდან, რომელიც სასწავლებლის ეკონომმა-ვოლკოვისამ სასწავლებლისავე მასწავლებლის პილენკოს ცოლის წინააღმდეგ აღძრაო. დასასრულ ბრალდებულმა დასძინა, რომ მოწმეთა ჩვენებით და სხვა საბუთებით შეეძლო წერილში ჩამოთვლილ ფაქტების დამტკიცება, მაგრამ ბ. პ. ვოევოდამ იგი ცილის-წამებისათვის კი არ მისცა სამართალში (1134 მუხლი), არამედ შეურაცყოფისთვის (1039 მუხლი) და ამით მას საშუალება მოუსპო სიმართლის დასამტკიცებლად.

თავმჯდომარე ამის შემდეგ საბრალმდებლო ოქმის კითხვას შეუდგა, მაგრამ შესწყვიტა და მოითხოვა საქმის გარჩევა ხალხის დაუსწრებლად. დ. დუმბაძემ მოითხოვა ხალხის თანადასწრებით გარჩევა მით უფრო, რომ ეს საქმე სასამართლოში სხვა სახით და შემადგენლობით უკვე გაირჩა ხალხის თანადასწრებით. სასამართლომ შუამდგომლობა არ შეიწყნარა, საქმე ხალხის დაუსწრებლად გაარჩია, დამნაშავედ იცნო დ. დუმბაძე და ლ. ყიფიანი და თვითეული მათგანი 40 მან. დააჯარიმა. თუ ჯარიმას არ გადაიხდიან, თითო კვირით დააპატიმრებენ. ბრალდებულთ საქმე პალატაში გადააქვთ.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

18—19 აგვისტო.

უცხოეთი

ნიუ-იორკი. მექსიკიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ სამმა ადგილობრივმა ბანკმა თანხმობა განუცხადა მთავრობას 12 მილიონიან სესხის განაღდებაზე.

ათინა. საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის ენერგიული მოლაპარაკებაა ზავის შეკვრის შესახებ. ხელშეკრულებას როგორც ეტყობა ამ დღეებში ხელს მოაწერენ.

ბელგრადი. კაბინეთი სკუპშჩინის მოწვევამდე ისევე რჩება. მთავარი ბანაკი დაარღვიეს. პუტნიკი გენერალურ შტაბის უფროსად დაინიშნა, მის თანაშემწედ რუსეთში სამხედრო აგენტად ნამყოფი ხაჯიჩი.

სალონიკი. „ლიბერტე“ მეთაურში საერთაშორისო კომისიის ჩასვლის გამო სწერს: „საბერძნეთი არასდროს არ ყოფილა სიმკაცრისა და [illegible] მოქმედების ჩადენის გამორკვევის წინააღმდეგი, მხოლოდ იმ პირობით რომ გამოძიება რაც შეიძლება მალე მოეხდინათ მიუდგომელ პირთ. ეხლა უსაჭიროესი ელემენტები აღარ მოიპოვება, დახოცილების გვამები დასაფლავებულია, ჭრილობები მორჩენილია, ძალმომრეობის კვალი გაჰქრა, მოწმეები გაიფანტნენ, კომისიის წევრები მიუდგომლები არ არიან, განსაკუთრებით ბოლგარელების დამცველნი და „ბოლგაროფილი“ მილიუკოვი. გაზეთი დარწმუნებულია, რომ მთავრობა სერბიასთან შეთანხმებით იმოქმედებს და კომისიას ხელს არ შეუწყობს.

ათინა. მთავრობამ მოითხოვა საერთაშორისო კომისიიდან მილიუკოვის განდევნა. კომისიამ მილიუკოვს სოლიდარობა გამოუცხადა.

ბელგრადი. ცნობებს სამინისტროს კრიზისის შესახებ უსაფუძვლოდ აცხადებენ. პაშიჩი საზღვარ-გარედ დასასვენებლად მიემგზავრება.

სოფია. პრესა მსჯელობს იმ ხმების შესახებ, რომელიც გავრცელდა ფრაკიის შესახებ ოსმალეთთან პირდაპირ მოლაპარაკების შესაძლებლობის გამო. გაზეთები ასეთი მოლაპარაკების საშიშროებაზე უთითებენ და აგრეთვე, რომ აუცილებელი გახდება ოსმალეთს ბევრი დავუთმოთო, თუ კი სახელმწიფოები ბულგარეთს ადრიანოპოლის მფლობელობას მაინც არ უზრუნველყოფენ. სამინისტროს დღევანდელ ბჭობაში მონაწილეობა მიიღეს ყველა პარტიის წარმომადგენლებმა.

სოფია. ბულგარეთის მთავრობამ დღეს გადასწყვიტა ოსმალეთთან პირდაპირი მოლაპარაკება დაიწყოს. დელეგატები საჩქაროდ დაინიშნება. სამხედრო მინისტრმა განკარგულება მოახდინა ყველა ტყვე სერბიელი სოფიაში მოაგროვონ. ტყვეები ახლო მომავალში ცარიბროდში გაიგზავნება, სერბიის მთავრობის გადასაცემად, რომელიც გასცვლის მათში ბულგარელ ტყვეებს.

სტამბოლი. ოსმალეთი ბულგარეთთან მოლაპარაკების დროს ჰფიქრობს ცოტათი შესცვალოს საზღვრები კირკილისესთან, უთმობს მუსტაფაფაშას და აგრეთვე დიდს სავაჭრო შეღავათს აძლევს. ოსმალეთის პრესა ბულგარელებს უქადის ზოგიერთ ადგილების დროებით დაჭერას, იმ შემთხვევაში თუ ისინი თურქების შეხედულებას არ დაეთანხმებიან. ისინი აგრეთვე აცხადებენ, რომ ადრიანოპოლი საბოლოოდ დარჩა მათ ხელში. ოსმალურ წრეებში ირწმუნებიან, რომ ბულგარეთმა მოისურვა ოსმალეთთან კავშირის შეკვრა, მაგრამ ოსმალეთმა ეს უარჰყო, და ზოგიერთი კომპრომისი შესთავაზა, თუ ბულგარეთი ოსმალეთის წინადადებას მიიღებსო. „კავშირისა და პროგრესის“ ორგანოები წინადადებას იძლევიან, ბულგარეთზე გავლენა იქონიონ გიუმიულჯინისა, დედეაგაჩისა და მთელ ეგეის ნაპირების დაჭერით.

თეირანი. კაბინეთმა გადასწყვიტა სალარ-უდ-დოულეს საქმე მოსპოს. მთავრობა მზადაა მისცეს 15,000 მ. პენსია და წართმეული მამულები დაუბრუნოს, ამ პირობით, თუ პრინცი ევროპაში წავა. ნამდვილი ცნობების მიხედვით პრინცი ჭლექით გახდა ავად.

ათინა. ბულგარეთის თხოვნით მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა განაგრძოს დედეაგაჩის დაჭერა, სანამ ბულგარეთი არ გაგზავნის იქ ჯარს და თანამდებობის პირებს.

ტოკიო. ჩრდილოეთის ჯარების გამარჯვებამ, სუნიათსენისა და ხუანსინის [illegible] შესცვალა [illegible]კაისადმი პრესის ცუდი მოპყრობა. პრესა ეხლა ხალხს ურჩევს იუანშიკაის მატერიალური [illegible].

ჯარის გადიდების მომხ[illegible]
ცებენ, რომ თუ შეჯახება მოხდ
უპირატესობა იაპონიის ფლოტის
კენაა, ამიტომ იაპონიას უფრო ძლ
ერი ჯარი სჭირდება ვიდრე ფლ
ტიო.

რუსეთი

ასტრახანი. ორს გარდაცვალ
ბულს შავი ჭირი აღმოაჩნდა.

პეტერბურგი. ინოკენტის მონ
ნიების გამო, სინოდმა მას მონასტ
ში ცხოვრების ნება მისცა.

ადესა. შეიმუშავეს ზომები ხ
ლერასთან საბრძოლველად.

პეტერბურგი. საეკლესიო-სამრ
ვლო სკოლების მასწავლებლებს ხ
ზინის ხარჯით ჯამაგირს უმატებენ

ვარშავა. დაკრძალეს გამოჩენ
პოლონელი ისტორიკოსი იაბლო
ნოვსკი.

პეტერბურგი. სამხედრო უწყე
ფრენის კონკურსსა ჰმართავს. ჯე
ჯერობით ჩაეწერა 13 ჰაეროპლან
რუსული და უცხოეთის სისტემისა.

პეტერბურგი. უმთავრეს შტაბ
პოლკოვნიკი ბარონი ვინეკენი ავ
სტრო-უნგრეთის სამხედრო აგენტ
დაინიშნა.

პეტერბურგი. მეცხრე ნომერ
„მუშათა ახალი გაზეთისა“ აკრძალე

წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! უმორჩილესა
გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალე
ბით ულრმესი მადლობა გამოუცხა
დოთ გომის სასოფლო-სამეურნეო
შემამულეთა ამხანაგობას, რომელ
მაც ჩემდამი რწმუნებულ შრომის
სკოლას გამოუწერა საყმაწვილო
ჟურნალი „ნაკადული“ ამა 191
წლისა.

შრომის სკოლის მასწავლებელი

გრიგოლ ტაბატაძე.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე

მატარებელთა მიმოსვლა

(ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 26 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** სადღ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** სად. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: № [illegible] **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (დადის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **საზ.** დილ. 8 ს. 12 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

მცხეთაში: № 65, **საზაფხულო** დილ. 8 ს. 16 წ., № 67, **საზ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები დადიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 სად. 8 ს. 28 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4,3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისკენ: **საზ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** სად. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო** პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, სად. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათუმიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** სად. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** სად. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს. 12 წ.

ქალაქის საავადმყოფოები

[illegible]—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. [illegible]** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**ზ. ა. [illegible]** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).
8—9	**ე. ა. მელიქ-შახნაზაროვი** (გუნიბის ქ., № 23).
10, 11—12	**ი. გ. ტერ-ნიკოღოსოვი** (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 935).

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ,
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. [illegible]: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **თ. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
კ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანუარაშვილის
მაღაზია სახელოსნოში,
მუხრანის ქ. № 2.
ყოველნაირი:
საკუთარი დ პეტერბ.

მეხანიკური ნაწარმოები. 527

ვკისრულობთ:

თარგმნას სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.

კორექტურას ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.

შესწორებას დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.

გამოცემას წიგნებისას ავტორთა ხარჯით.

პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: **ტფილისი**, მუხრანის ქუჩა, **„შრომის“** სტამბის გვერდით, სახლი № 12. ნაშუადღევის 2 საათიდან 7 საათამდე. ხოლო დილის 9—1 საათამდე ბინაზე: ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ, სახლი გაჟონიისი. ტელეფ. 9-25.

ბაბილინა და ნ. (ნარ-კანი) კურდღელაშვილები.

კბილის
ექიმი ა. გ. ხოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს
აბასთუმანში.

უფლებიანი სავაჭრო სკოლა უფლებიანი
და საბუღალტერო კურსები
ივანე ზაქ. ტერ-სტეფანოვისა.
მისაღები და დამატებითი გამოცდა **28 და 31 აგვისტოს.** მისაღებთა რიცხვი განსაზღვრულია (ერთ კლასში არა უმეტეს 24 შეგირდისა). მეცადინეობის დასაწყისი სკოლაში 24 სექტემბერს, კურსებზე 16 სექტემბერს. **მიხეილის პროსპ. № 53.** 562

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
საკომერციო ცოდნათა კურსები
ც. მ. ფილოიანისა,
ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, ტელეფ. № 976.
სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის, კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.
პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში) და Pigi-ის (პარიზში), Muster comtoir-ში. მასალები რეალურ ცხოვრებიდან აიღება:
საგნები: ა) სავალდებ.: 1) ბუჰგალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო); 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური-ეკონომია, 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება. 5) კომერციული კორესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) სავალდებულო: 1) **უცხო ენები.** 2) სტენოგრაფია. 3) დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვა) და 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.
მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10-12 ს., დილით და 4—7 ს. საღამ. მეცადინეობა დაიწყება **15 ენკენისთვიდან.** პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან. კურსები კარგ მოწაფეებთათვის მეცადინეობენ სავაჭრო ახლებში ადგილის საშოვნელად. მიმდინარე წელს სულ 284 მსმენელი იყო, ამათგან 53 ქალი. 1424

სავაჭრო და სამრეწველო სამინისტროს განკარგულების ქვეშ მყოფი
ბუღალტერიის პრაქტიკული კურსები
ი. თ. კალატნიკოვისა.
თხოვნების მიღება და მსმენელთა ჩაწერა ყოველ დღე დილის 10 ს. საღ. 8 ს.-დე. **მეცადინეობა დაიწყება 15 ენკენისთვიდან.** კურსები იძლევიან საფუძვლიან და სრულ ცოდნას, ამზადებს საკანტორო-ბუღალტერიისა და კორესპ. სამუშაოდ. კურსებზე შესული საფუძვლიანად სწავლობს: 1) ა) ბუღჰალტ. ჩვეულებ. და ორნაირს: იტალ., ფრანგ., გერმან., ამერიკ. და ახალ რუსულ (ყველა სისტემით პრაქტიკულ სამუშაო), ბ) თვლა-ანგარიში: საზოგ., სავაჭრ., ბანკ., ქარხ., სასოფლო-სამეურ., 2) კომერც. ანგარ., 3) ვაჭრობის უფლება, 4) ვექსილის უფლება, 5) კომერციულ კორეს., 6) ანგარ. ჩოთქზე, 7) კალიგრაფია, 8) მუშაობ. შესწ. საწერ მანქანაზე, 9) რუსული ენა, 10) ანგარიში, 10) **უცხო ენები:** ფრანგ. და გერმან., 12) საკომერც. კორესპ. უცხო ენებზე. **რუსული ენა ანგარიში და საწერ მანქანებზე ბეჭდვის სწავლება უფასოა მსმენელთათვის.** მიმდინარე წელს კურსებზე სწავლობდა 182 კაცი, აქედან 3 საბუღალტ. ჯგუფში იყო 144. მასწავლებლებად არიან მოწვეულნი უმაღლესი განათლებით. სპეციალ. კურსების წესდება და პროგრამა უფასოა. 1430

საბუღალტერიო და საკანცელარიო ცოდნათა
კურსები
არსებული ტფილისის პირველ საკომერციო სასწავლებელთან ორივე სქესისათვის (მე-XIV წ. არს. შემ.).
კურსებზე ასწავლიან: ბუღალტერიას ორმაგ იტალიურ სისტემით, მრეწველობის სხვა და სხვა ნაწილის შესაფერისად; კომერციულ კორესპონდენციას, სავაჭრო უფლებას, კალიგრაფისა და მსურველთ საბეჭდ მანქანებზე ბეჭვდას, **სწავლა დაიწყება 16 სექტემბერს 1913 წ.** სწავლა გაგრძელდება არა ნაკლებ ექვსი თვისა მეცადინეობა კვირაში სამჯერ იქნება, საღამოობით. **სწავლის ფასი სულ 40 მან.** თხოვნები ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორის სახელზედ მიიღება სასწავლებლის კანცელარიაში დილის 10 ს.—1 საათამდე. 1420

საბუღალტრო კურსები
გ. და მ. ტერ-დავიდიანცისა
ნიკოლაევის ქ., 36, ვორონცოვის ძეგლის ახლო. მიღება 4—7 საათ. საღამოთი. 1416

თ. ა. მთავრიშვილის
წიგნის მაღაზია
ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამა წლის 1913—1914 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს დიდ-ძალი
სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,
რომელნიც კი იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში. **ფასები საკმაოდ დაკლებულია.** მსურველთ შეუძლიანთ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: **რვეულები, კალმები, კალმისტარები, კარანდაშები, საანგარიშო დავთრები** და სხვა, რისაც ძლიერ დაკლებულ ფასად დაუყოვნებლივ მივაწვდით ბ-ნ **გოკიელის** საკანცელარიო მაღაზიიდან; **ადრესი:** ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიის სახლი, ბულვართან, **თ. მთავრიშვილი.** 1413

სნეულებს
სპერმინ-პელია!
სპერმინ პელიატი მაარგებელ **ავადმყოფებს** ხშირად ატყუებენ მყვირალა რეკლამებით თესლეულების სითხეებზე, ამასთანავე ამ რეკლამებში გასაოცარი უსირცხვილობით ამახინჯებენ ფაქტებს და მოჰყავთ დასასაბუთებლად უცხოელ მეცნიერთა სახელები და შრომანი, რომელთაც **თავის დღეში არ უნახავთ მათი პრეპარატები.** ჩვენ მოვალეობადა ვსთვლით, გავაფრთხილოთ ავადმყოფნი მოტყუებისაგან, რადგანაც მათ პრეპარატებს **საერთო არა აქვთ რა „სპერმინ-პელია“-სთან** და ხშირად შეიცავენ ჯანსაღობისათვის მავნე ნივთიერებას.
ბრძოლაში: **ნევრასტენიასთან, სქესობრივ უძლურებასთან, მოხუცებულთა სიმჩატესთან, ისტერიასთან, ნერვალოგიასთან, სისხლნაკლულებასთან, ჭლექთან, სიფილისთან, ვერცხლის წლით წამლობის შედეგებთან, გულის ავადმყოფობასთან, (გადაჭარბებული სიმსუქნე, გულის კლეროზი, გულის ფრიალი, გულის-ცემა, მიოკარდიტი), არტერიო სკლეროზთან, ლოთობასთან, ხერხემლის გამოფიტვასთან, სიდამბლესთან, ავადმყოფის შემდეგ სისუსტესთან, დაქანცულობასთან და სხვ.,** მხოლოდ **სპერმინ-პელიამ** მიაღწია ჩინებულ შედეგებს, რასაც ჰმოწმობენ მთელ მსოფლიოს მეცნიერნი და მკურნალნი.
✦ საჭიროა ყურადღება მიაქციოთ სახელზე **„სპერმინ-პელია“** ✦
და უკუჰყაროთ ყოველგვარი სიყალბე და სითხეები სხვა და სხვა სახელებით, რომელთა მავნებლობაზე ცალკე ბროშურაა გამოცემული; ბროშურა უფასოდ ეგზავნებათ „სპერმინს“ ახალ ლიტერატურასთან ერთად.
„სპერმინ-პელია“ იყიდება ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიაში.
ორგანოთერაპევტის ინსტიტუტი პროფეს. ექიმი „პელი და შვ-ბი“,
მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის **სასახლის კარის მოვაჭრე.**
Метцль. 69730. **ს.-პეტერბურგი.** 1188

მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
ძმ.
მეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.
ახალ-ახალი
მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სვიდაკი.
ახალი მსხვილ-მარცვლოვანი
ხიზილალა ქიტკა
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარინადში, იანი, ჭიპა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნაირი **თევზეულობა და**
კონსერვები.

მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“,